# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · პარასკევი, 24 თებერვალი 1995 № 7 (145) · ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# «ლივერპული»
# «ბაიერნი»
# „მანჩესტერ სიტი“
# „ატლეტიკო“ მადრიდი
# „ატლეტიკი“ ბილბაო
# „ბოკა ხუნიორსი“
# „რ ა ს ი ნ გ ი“

ალბათ ამ კლუბებიდან ერთ-ერთში გააგრძელებს თავის საფეხბურთო კარიერას

# გიორგი ქინქლაძე

ოღონდ, გვაცნობეს «დინამოს» დირექტორატიდან, ესპანეთს ბედის საძებრად წასული ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი თვის ბოლოს თბილისში დაბრუნდებიან და სეზონს საქართველოში ჩაატარებენ.

## სეზონის უმთავრესი მატჩი, საქართველო — გერმანია

კი 29 მარტს საღამოს 9 საათზე დაიწყება

## ესპანეთი — გერმანია 0:0

### ოთხშაბათს გერმანელებმა ბოლო საკონტროლო მატჩი გამართეს საქართველოში სტუმრობის წინ

ანდალუზიაში, ხერესში ბერტი ფოგტსს ტრავმირებული მათეუსი, შტრუნცი, ციგე და კოლერი დააკლდნენ. მათეუსის შემცვლელად მათიას ზამერს ვარაუდობდნენ, მაგრამ ლიბეროობა საბოლოოდ 20 წლის მიუნხენელ მარკუს ბაბელს ანდეს. კიდევ ერთმა ახალბედამ, 21 წლის დორტმუნდელმა შტეფან ფროინდმა ნახევარდაცვაში დაიკავა ადგილი. თუმცა, ბარემ გუნდების შემადგენლობასაც გაგაცნობთ.

გერმანია: კეპკე, ვორნსი (ბასლერი), დირკ შუსტერი (ვებერი), ბაბელი, ჰელმერი, ტოდტი, ფროინდი, ჰესლერი, კლინსმანი, მიოლერი, კირსტენი.

ესპანეთი: სუბისარეტა, ბელსუე, სერხი, აბელარდო, ბორო, იერო, ლუის ენრიკე, კახისერო, პიჩი, დონატო, ამავისკა (მეორე ტაიმში გამოვიდნენ კანისარესი, გერერო, გოიკოეჩეა, სალინასი).

თამაში საკმაოდ უინტერესო გამოდგა. გერმანიას თავი არაფრით გამოუჩენია, კლინსმანიც ვერ იყო ბურთაობის იშტაზე და ვერც დაცვამ დაგვამახსოვრა თავი საიმედო თამაშით. თუმცა ისიც შესამჩნევი იყო, რომ ფოგტსს თამაშის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებული გეგმა დაესახა შეგრდებისთვის.

ესპანელები უფრო მეტ ხანს ფლობდნენ უპირატესობას. მათ პირველ ტაიმში ჯერ კეპკეს შეცდომა ვერ გამოიყენეს, მერე კი პიჩიმ ააცილა. გერმანიამ ხეირიანად პირველი ტაიმის ბოლოს შეუტია, მაგრამ ტოდტისა და ვებერის თაურებმა მიზანს ვერ მიაღწია. თამაშის ბოლოს კი ესპანელთა ვეტერანი ხულიო სალინასი დაშვრა ამაოდ.

ოთხშაბათსვე, უაიაქსელებოდ დარჩენილ ჰოლანდიის ნაკრებს ვერც ბერხკამპმა, იონკმა, რობ ვიჩხემ, ვინტერმა და როიმ უშველეს და პორტუგალიამ სტუმრად 1:0 მოიგო პედრო ბარბოზას მე-8 წუთზე გატანილი ლამაზი გოლით.

კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩში იტალიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელსაც პაოლო მალდინის მამა, ჩეზარე წვრთნის, რუმინელ თანატოლებს მოუგო — 1:0.

მალტაში კი ოფიციალური, ევროპის ჩემპიონატის თამაში შედგა. მასპინძლები ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდთან 0:1 აგებდნენ, დამთავრებამდე 2 წუთით ადრე პენალტი ვერ გაიტანეს და V შესარჩევ ჯგუფში ბოლოსწინა ადგილი მეტოქეს დაუთმეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 10-1 | 8 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-1 | 5 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| ლუქსემბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-11 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

ზურაბ მეძველია




## თამაშამდე კარგად გამოვიძინოთ

**სატელევიზიო კომპანია „ინტერსპორტმა" თავისი გაიტანა. სწორედ ამ კომპანიას აქვს მიღებული საქართველოს ნაკრების თამაშების ტრანსლაციის გაყიდვის ექსკლუზიური უფლება და, რასაკვირველია, რომ მას 29 მარტის თამაშის დასავლეთ ევროპისთვის ხელსაყრელ დროს დანიშვნა აწყობდა. მოლაპარაკება დიდხანს გრძელდებოდა და საბოლოოდ დადგინდა, რომ საქართველოსა და გერმანიის ეროვნული გუნდების მატჩი თბილისის დროით საღამოს ცხრა (21) საათზე დაიწყება. რაც შეეხება ოლიმპიური ნაკრებების შეხვედრას, იგი 28 მარტს, სამშაბათს, დღის 2 საათზე რუსთავში შედგება. ძირითადი მატჩის არბიტრად უეფას ინგლისელი მარტინ ბოდენჰემი დაუნიშნავს.**

## ვნახოთ, რას იტყვის «კაიზერი»

ბეკენბაუერს რომ გულზე არ ეხატება მოლდოვის, ალბანეთის და საქართველოს ნაკრებებთან შეხვედრები, ცნობილი ფაქტია — მაგათთან თამაშით კლასს ვერ ვიმაღლებთო, უთქვამს. „კაიზერს" თურმე არც ფოგტსი ჩამორჩება. „კიკერისთვის" მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში გერმანელთა მწვრთნელმა აღიარა: შარშან სამი მატჩი კი მოვიგეთ, მაგრამ კარგი თამაში ვერ ვაჩვენეთ, შევეცდებით წლეულს, ბულგარეთთან და უელსთან გადამწყვეტ შეხვედრებში უკეთ ვითამაშოთო. მოკლედ, თუ გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, საქართველოს არავინ თვლის ღირსეულ მეტოქედ. არადა, როგორც ამასწინათ გერმანიიდან ჩამოსულ ფეხბურთის ფედერაციის ემისარს ჩვენი ფედერაციის თავკაცებთან პრივატულ საუბარში უთქვამს, ფოგტსი ერთობ შეფიქრიანებულია თქვენი ნაკრების ბოლო წარმატებებით და ამბობს — თბილისში ფრეზეც ყაბულს ვიქნებიო. ფოგტსს რა აწუხებს, არავინ იცის. ის კი ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრები ყოველ მეტოქესთან შესახვედრად სერიოზულად ემზადება და ჩვენც ასეთი დახვედრა გვმართებს. თან, რაც მთავარია, ჩიაძეც იმედიანადაა — მოსკოველ ჟურნალისტებთან საუბარში უთქვამს: ვნახოთ, რას იტყვის ბეკენბაუერი 29 მარტის შემდეგო.

### გერმანიის ნაკრების სტატისტიკა

XX საუკუნე გერმანელებმა ფეხბურთითაც, უფრო სწორად, ფეხბურთის ფედერაციის (DEUTSCHER FUSSBALL-BUND) შექმნითაც დაიწყეს. ეს მოხდა 1900 წლის 28 იანვარს, ასე რომ, სულ ცოტა ხნის წინ ოთხმოცდათხუთმეტწლოვანი იუბილის საბაბიც ჰქონიათ. ლაიფციგში ბინადადებული „ფუსბალ ბუნდი" 4 წლის მერე ახალშექმნილ ფიფაშიც გაწევრიანდა. 1928 წლიდან ფედერაციის შტაბ-ბინამ მისამართი შეიცვალა — 1945 წლამდე ბერლინში გადაბარგდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო, გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ 1949 წლის 10 ივლისიდან განაახლა მუშაობა, ხოლო ფიფას წევრობა აღიდგინა 1950 წელს. 1954 წლიდან — უეფას წევრია. ქვეყნის ჩემპიონატები 1903 წლიდან, ხოლო თასის გათამაშება 1935 წლიდან ტარდება. ჩემპიონატებმა უფრო მწყობრი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1963 წელს ჩამოყალიბდა ბუნდესლიგა.

გერმანელთა ეროვნული ნაკრების საერთაშორისო შეხვედრების ათვლის წერტილად ითვლება 1908 წლის 5 აპრილი. ამ დღეს ისინი ბაზელში შეხვდნენ მასპინძლებს — შვეიცარიის ნაკრებს, რომელსაც პირველი მატჩი სამი წლის წინ ჰქონდა ჩატარებული. დებიუტანტებმა ვერ შეძლეს შედარებით გამოცდილი მეზობლების გამკლავება და დამარცხდნენ 3:5. მომდევნო სამი შეხვედრაც გერმანელთა მარცხით დასრულდა, მათ შორის 1909 წლის 16 მარტს ოქსფორდში — იმ დღეს მათ ნამდვილად თავი შეირცხვინეს მასპინძლებთან — ინგლისის ნაკრებთან 0:9 (დღემდე სარეკორდო ანგარიშით წაგებაა). მხოლოდ მეხუთე მატჩში — უნგრელებთან (ბუდაპეშტში) მიაღწიეს გერმანელებმა ფრეს 3:3, მეექვსე მატჩში კი კარლსრუეში (გავუსწრებთ მოვლენებს და გაცნობებთ, რომ ეს ქალაქი ყველაზე იღბლიანია გერმანელთათვის, მათ აქ გამართულ შვიდივე მატჩში გაიმარჯვეს და აკი აქვე გატეხეს ნავსიც) მასპინძლებმა რევანშიც აიღეს დებიუტის ოპონენტებთან — შვეიცარიელებთან 1:0.

მიუხედავად პირველი წარმატებისა, ყოველწლიური ბალანსი გერმანელებს მაინც უარყოფითი ჰქონდათ, სანამ 1926 წელს ნაკრებს ოფიციალური მწვრთნელი — ოტო ნერცი არ დაუნიშნეს. ამას შედეგიც მოჰყვა — იმ წელს გამართული ოთხი მატჩიდან ორი მოიგეს, ერთში ფრეს მიაღწიეს, ერთშიც დამარცხდნენ. ამის შემდეგ იშვიათი გამონაკლისი გარდა, ისინი ყოველთვის დადებითი ბალანსით ამთავრებდნენ წელს.

22 თებერვლის მატჩი ესპანელებთან, ფაქტობრივად ბოლო საკონტროლო შეხვედრა საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის წინ, გერმანიის ნაკრებისთვის 619-ე მატჩი იყო. მანამდე გამართულ 618-დან გერმანელებმა გაიმარჯვეს 349 შეხვედრაში, ფრედ დაასრულეს 123 და წააგეს 146. ბურთების სხვაობა — 1387-786. ეს შედეგი შესაძლებელი მაქსიმუმის 66,4 პროცენტს შეადგენს.

გაერთიანებული გერმანიის ნაკრებმა (1908-1942 წლები და 1990 წლის 19 დეკემბრიდან) გამართა 246 მატჩი: 130 მოგება, 45 ფრე, 71 წაგება, ბურთების სხვაობა 618-408. შესაძლებელი მაქსიმუმის 62,0 პროცენტი. დასავლეთ გერმანიის ნაკრებს (1950-90 წლები) ასეთი მაჩვენებლები აქვს — 372 მატჩი: 219 მოგება, 78 ფრე, 75 წაგება. ბურთების სხვაობა 769-378. შესაძლებელი მაქსიმუმის 69,4 პროცენტი. ამ ციფრების მიღმა ფაქტებიც შესატყვისია: გაერთიანებული გერმანიის ნაკრებმა 1934 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი მეორე. ეს მაშინ, როცა ორად გაყოფილი გერმანიის დასავლეთმა ნაწილმა სამჯერ (1954, 1974, 1990) მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, სამჯერ (1966, 1982, 1986) გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ერთხელ (1970) გავიდა მესამე ადგილზე, ორჯერ (1972, 1980) გახდა ევროპის ჩემპიონი და ერთხელაც (1976) ვიცე-ჩემპიონი.

რევაზ შენგელია

# ბათუმის «დინამო» ახალ ფორმაში

**ევროპის საკლუბო ტურნირებზე გასვლის პერსპექტივა უკვდავების [illegible] ქართულ გუნდებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც სატურნირო მდგომარეობაც ხელს უწყობს და ქალაქში უცხოელ სტუმართა ღირსეული დახვედრის საკმაო გამოცდილებაც გააჩნია. აბა, ბათუმზე უკეთესი პერსპექტივა სხვა რომელ ქალაქს აქვს? წინა ნომერში რამდენიმე გუნდის პრეტენზიები გაგაცანით, ახლა კი ბათუმელთა გეგმებსაც გაგიმხელთ. ჩვენი თანამოსაუბრეა ბათუმის „დინამოს" ერთ-ერთი მწვრთნელი მალხაზ ჩიჩუა.**

— ინტერტოტოს თასზე გასვლის პერსპექტივამ ჩვენც ისევე გამოგვაცოცხლა, როგორც სხვა გუნდები. თანაც, სატურნირო ცხრილიდან და თასის მეოთხედფინალის კენჭისყრიდან გამომდინარე, ჩვენ სხვა პრეტენზიებიც გაგვიჩნდა — გვსურს ჩემპიონატი მესამე ადგილზე დავამთავროთ და მინიმუმ თასის ფინალშიც გავიდეთ.

— რას ემყარება თქვენი ქადილი?

— აკი გითხარით, ახალი სტიმული გაგვიჩნდა. ფეხბურთელები თავს არ ზოგავენ, გარდა ამისა, მეორე წრის კალენდარიც საკმაოდ ხელსაყრელია ჩვენთვის. ძირითად კონკურენტებს — „ტორპედოს", „კოლხეთს", „სამტრედიას" და „მეტალურგს" შინ ვიღებთ, რაც შეეხება თასს, თერჯოლის „საპოვნელა" ახლა გათამაშების ცხრილის ფსკერზეა და ვფიქრობ, ამ ეტაპს დაუბრკოლებლად გავივლით.

— გუნდიც ხომ არ გაგიძლიერებიათ ფედერაციისგან ნებადართული ორი ფეხბურთელით?

— „სხვისი" ამ ფეხბურთელებს, ფაქტიურად, არც ეთქმით, რადგან ორივე ჩვენი გაზრდილია — კანტიძე და ყულეჯიშვილი. ისინი „გურიიდან" გადმოვიყვანეთ და ახლა ჩვენთან ვარჯიშობენ.

— მეორე წრისთვის მზადება როდის დაიწყეთ?

— 15 იანვარს შევიკრიბეთ და მას მერე ინტენსიურად ვემზადებით ჩვენს ბაზაზე. მალე სტადიონის გვერდით ხელოვნურსაფარიანი მინდორიც ჩაგვიდგება მწყობრში, სადაც ნებისმიერ ამინდში შეგვეძლება ვარჯიში.

— საკონტროლო მატჩები ხომ არ გითამაშიათ?

— ხაშურის „იმერიას" ტურნირის ერთადერთი გოლის წყალობით მოვიგეთ. ამ დღეებში გრიგოლეთში ზუგდიდის „დინამოს" ვხვდებით.

— თქვენი თავდამსხმელი პაატა მაჭუტაძე 14 გოლით ბომბარდირთა სიას ლიდერობს. იგი მას შემდეგ „ათამაშდა", რაც გუნდს ახალგაზრდა ფორვარდი ლევან ხომერიკი გამოაკლდა. ამ ნიჭიერ თავდამსხმელს, ახალგაზრდული ნაკრების წევრიც რომ არის, წელიწადია არ უთამაშია. ამჟამად როგორ არის იგი?

— ხომერიკს მართლაც ბევრი გაუცდა. ჯერ იყო და, წელის ტკივილმა ხამოაცილა ვარჯიშებს, მერე — აქილევსის მყესმა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდა და უკვე ვარჯიშიც დაიწყო. „იბერიასთან" ერთი ტაიმი ითამაშა კიდეც. თუ ჩვეული ფორმა აღიდგინა, ხომერიკ-მაჭუტაძის დუეტის შეკავება მართლაც ძნელი იქნება და ჩვენც უფრო გაგვიადვილდება მიზნის მიღწევა. დაშავებული იყო ივანე მახარაძეც და ისიც გამოჯანმრთელდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი დიდ იმედებს ამყარებს ამ ორ ახალგაზრდაზე. თანაც, ხომერიკი ხომ ახალგაზრდულ-ოლიმპიური ნაკრების წევრიცაა.


ლევან ხომერიკმა ვარჯიში განაახლა

— ბათუმში, ტრადიციულად, თავის აღზრდილებს ათამაშებენ და იშვიათად თუ იწვევენ ვინმეს. ამის საშუალებას კლუბის უმდიდრესი ტრადიციები და ბათუმის „დინამოს" ბავშვთა სკოლა იძლეოდა. ახლა როგორაა საქმე?

— გვყავს ბავშვთა რამდენიმე ჯგუფი. ახლახან ავიყვანეთ ჩვენი სკოლის აღზრდილი 17 წლის წუწუნავა. პირადად მე 1979-80 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს ვავარჯიშებ. ჩვენი გუნდი გამოდის მესხის თასზე, რესპუბლიკური შეჯიბრება რომ გახლავთ და პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზე ვართ. ძალზე პერსპექტიული მოზარდები გვყავს და ორიოდ წელში ბათუმის „დინამო" მათგან კარგ შევსებას მიიღებს.

— თქვენი „ფარმ-კლუბი" — ხელვაჩაურის „კახაბერი" არ გაწვდით შევსებას?

— ჯერჯერობით არა. სამომავლოდ კი ასე გვაქვს დაგეგმილი — ის ახალგაზრდები, „დინამოში" რომ ვერ მოხვდებიან, „კახაბერში" ითამაშებენ, რათა ფორმა არ დაკარგონ და ფეხბურთს არ ჩამოშორდნენ.

— გუნდის ხელმძღვანელობაში ცვლილება ხომ არ არის?

— ჩვენი ყოფილი მეკარე იური მამინაშვილი მეკარეთა მწვრთნელად მოვიწვიეთ. უეჭველია, ესეც წაადგება გუნდის მზადების საქმეს.

— ახლა ყველაზე მთავარი: დავუშვათ და ევროპელებთან თამაში მოგიწიათ. რამდენიმე წლის წინ უცხოური გუნდის დახვედრა თავის გულშემატკივრებიანად პრობლემა არ იქნებოდა. მაგრამ ახლა, მოგეხსენებათ, ყველაფერი ჭირს. კლუბი მარტო თავის ძალებით ვერას გახდება. ოფლით გამოლებული „ფანჯარა ევროპაში" მიხურვის საფრთხის წინაშე ხომ არ აღმოჩნდება?

— ამასწინათ ოფიციალური შეხვედრა გვქონდა ბატონ ასლან აბაშიძესთან. მან ყურადღებით მოგვისმინა და დახმარებას დაგვპირდა. ამ დახმარების პირველი შედეგები უკვე სახეზეა: გუნდს სათამაშო და სავარჯიშო ფორმების ახალი კომპლექტი აქვს, ჩვენი სტადიონისთვის თურქეთიდან უკვე გამოწერილია პლასტმასის სკამები. სტადიონის რეკონსტრუქცია მაისისთვის დამთავრდება და 25 ათასამდე მაყურებელს დაიტევს. ბატონმა ასლანმა დაგვაიმედა, რომ ევროპაში გასვლის შემთხვევაში ბათუმის „დინამოს" ყველა გარეშე პრობლემა გადაჭრილი ექნება, რათა გუნდმა სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა. ალბათ გეხსომებათ, შარშან ბრაზილიის „პალმეირასს" ვუმასპინძლეთ და თავი არ შევირცხვინეთ.

ასე რომ, თავად განსაჯეთ, არის თუ არა ბათუმის „დინამო" ევროპელებთან „გამოსაჩენი" გუნდი.

მამუკა კვარაცხელია

# ყველამ თავის საქმეს მიხედოს...

რუსულ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია: სანქტ-პეტერბურგის „სმენა-სატურნს", ფინანსური სიძნელეების გამო დაშლის საფრთხე რომ დამუქრებია, თანაქალაქელ „ლოკომოტივისთვის" მიუმართავს — გავერთიანდეთ, თანხები თქვენი, პირველ ლიგაში ადგილი ჩვენი, სახელად კი „სმენა-ლოკომოტივი" დავირქვაფო. „სმენა-სატურნს" ქართველი მეპატრონე, ირაკლი გეგეჭკორი ჰყავს, გაერთიანების იდეაც მისი იყო და თავდაპირველად „ლოკომოტივის" თვისტომი მწვრთნელისთვის გივი ნოდიასთვის მიუმართავს. ვითარების გასარკვევად დავუკავშირდით გივი ნოდიას.

— „სმენა-სატურნის" ხელმძღვანელობამ მართლაც მოგვმართა ასეთი თხოვნით, ჩვენც ერთი პირობა თანხმობა განვაცხადეთ, რადგან საქმეს ერთი წლით წინ ვიგდებდით, მეორის ნაცვლად პირველ ლიგაში დავიწყებდით ასპარეზობას. მაგრამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ უარი ვთქვით, რადგან ფინანსურ საკითხებში ვერ შევთანხმდით. თანაც, იმედი გვაქვს, რომ სხვის დაუხმარებლადაც გადავალთ პირველ ლიგაში და არა მარტო იქ. ორსამ დღეში ფინეთს მივემგზავრებით, სადაც სამ საკონტროლო თამაშს გავმართავთ უმაღლესი ლიგის გუნდებთან მანეჟებში, შემდეგ კი ბულგარეთში წავალთ და ამდენივე საკონტროლო თამაშს ვითამაშებთ. საუბრის ბოლოს გივი ნოდიამ გაკვირვება გამოთქვა 7 თებერვალს „სპორტ-ექსპრესში" დაბეჭდილი სერგო კუტივაძის ინტერვიუს გამო და თქვა, რომ როგორც შეეძლო, ისე ემსახურებოდა თბილისის „დინამოს" და თუ „ტიროლთან" მარცხი ჩემი ბრალია და ამას არც ვუარყოფ, რა იქნებოდა, ვინმეს ისიც გახსენებოდა, „დინამოს" მიერ მოპოვებულმა ცხრა ქულამ, საქართველოს კოეფიციენტი რომ გაზარდა და ევროთასებზე რამდენიმე გუნდის დაშვების უფლება მოგვცაო.

საერთოდ კი, ბატონი გივის აზრით, არ არის საჭირო ერთმანეთისთვის ცუდი ამბების შეხსენება, ყველამ თავის საქმეს მიხედოს და ისე ემსახუროს ქართულ ფეხბურთს. ჩემი პეტერბურგში წასვლაც მხოლოდ დროებითი განშორებაა ქართულ ფეხბურთთანო.

მამუკა კვანტალიანი

## იტალია

# 12 წლის შემდეგ

გამოტოვებული მატჩი. ჯენოა — მილანი 1:1
XX ტური. 19 თებერვალი. კალიარი — პარმა 2:0, კრემონეზე — ფიორენტინა 0:0, ჯენოა — რომა 1:0, ინტერი — ბრეშია 1:0, იუვენტუსი — ნაპოლი 1:0, ლაციო — მილანი 4:0, პადოვა — ტორინო 4:2, რეჯანა — ბარი 0:1, ფოჯა — სამპდორია 1:1

ხელახლა ჩატარებული მატჩის დროს საგანგაშო არაფერი მომხდარა: გენუელმა და მილანელმა ფეხბურთელებმა ჯერ ყვავილებით შეამკეს ტრიბუნა, სადაც ვინჩენცო სპანიოლო მოკლეს და თამაში მერე შეუდგნენ. მასპინძლები პირველი ტაიმის ბოლო წუთზე დაწინაურდნენ — როხიმ ვან სხიპი თავის საჯარიმოში მოცელა და სკუპრავიმ პენალტი კარგად დაარტყა, მაგრამ ამის მერე ანუ მეორე ტაიმში „მილანმა" ორმოცწუთიანი შტურმი მოაწყო, თავგზააბნეული მასპინძლები კი ხან დასავლეთ ტრიბუნაზე გადააგდებდნენ ბურთს, ხან აღმოსავლეთზე — ეგებ, დრო გავიდესო. მწვრთნელმაც „იყოჩაღა" და ერთადერთი იმედი — სკუპრავიც შეცვალა. მოკლედ, გენუელებმა კიდევ კარგად გაძლეს და დამთავრებამდე მხოლოდ ოთხი წუთით ადრე გაუშვეს გოლი — „მილანი" ისევ პანუჩიმ იხსნა. კვირას კი ჩემპიონს ველარავინ უშველა: „ლაციომ" ჰქნა ის, რაც ბოლოს 1983-84 სეზონში „ავლინომ" გააკეთა — 4:0 დაამარცხა „მილანი". პირველი დარტყმა სუპერკლუბს მე-18 წუთზე კაზირაგიმ მიაყენა, მერე კი საქმე გააგრძელა და დაამთავრა კიდეც ჯუზეპე სინიორიმ. 54-ე, 65-ე (პენალტით) და 81-ე წუთებზე სამი გოლი გაუტანა როსის, თუმცა იტალიაში მიღებული უცნაური ტრადიციის თანახმად ბოლო გოლი ბარეზის ავტოგოლად ჩათვალეს — ბოლო მომენტში სინიორის დარტყმული ბურთი მას ოდნავ შეეხო. წაგებასთან ერთად „მილანმა" კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა: 62-ე წუთზე მალდინიმ მოცელა მეკარესთან პირისპირ გამსვლელი კაზირაგი, მსაჯმაც არ დაინდო „უორლდ სოკერის" ვერსიით მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი და გასახდელს მიაბრძანა. „ლაციოს" მიბაძა და ოთხი გოლი გაიტანა „პადოვამაც", თუმცა „მილანისგან" განსხვავებით ტურინელებმა ორი გოლი მაინც გაქვითეს (აბედი პელე, რიცციტელი). მასპინძლებიდან თავი მანიერომ, ვლაოვიჩმა (2) და თვით ამერიკელმა ლალასმაც კი გამოიჩინეს. „კალიარიმ" „პარმაც" ხელცარიელი გაუშვა სარდინიიდან, თან უკვე მე-15 წუთისთვის მოითავა საქმე (ბერეტა 6, ოლივეირა 15). ამასობაში ტურინში დელ პიეროს პასით რავანელიმ მორიგი სამი ქულა ჩაუჯიბა „იუვეს" და ესეც კიდევ უფრო დაწინაურდა. ასევე მინიმალური ანგარიშით დამთავრდა კიდევ სამი თამაში: „ჯენოას" კვლავ სკუპრავიმ უშველა, „რეჯანამ" მთელი თამაში უტია, გოლი კი საკუთარში მიიღო (პროტი 81), „ბრეშიას" კი ბერტიმ მესამე წუთზევე გაუტანა. ამ მატჩის მიწურულს მსაჯმა სტუმარი კორინი მოედნიდან გააძევა. ორიოდ დღეში კი „ბრეშიას" პატრონებმა რუმინელი მწვრთნელი ლუპესკუ კლუბიდან გააძევეს და მის ადგილზე ჯიჯი მაიფრედი დანიშნეს. ორი მატჩი ფრედ დამთავრდა. კრემონაში არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ბურთს დაგინებული ჰქონდა კარში შესვლა, ფოჯაში კი ბრეშიანის 44-ე წუთზე გატანილ გოლს გულიტმა 64-ეზე ლამაზი თავურით უპასუხა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 20 | 14 | 3 | 3 | 35-20 | 45 |
| პარმა | 20 | 11 | 6 | 3 | 31-17 | 39 |
| ლაციო | 20 | 10 | 4 | 6 | 41-24 | 34 |
| რომა | 20 | 9 | 7 | 4 | 26-14 | 34 |
| სამპდორია | 20 | 8 | 8 | 4 | 33-18 | 32 |
| ფიორენტინა | 20 | 8 | 7 | 5 | 34-26 | 31 |
| მილანი | 20 | 7 | 9 | 4 | 23-21 | 30 |
| კალიარი | 20 | 7 | 8 | 5 | 21-19 | 29 |
| ბარი | 20 | 9 | 2 | 9 | 23-27 | 29 |
| ინტერი | 20 | 7 | 6 | 7 | 18-18 | 27 |
| ტორინო | 20 | 7 | 5 | 8 | 22-25 | 26 |
| ფოჯა | 20 | 6 | 7 | 7 | 21-26 | 25 |
| ნაპოლი | 20 | 5 | 9 | 6 | 24-30 | 24 |
| ჯენოა | 20 | 5 | 6 | 9 | 22-30 | 21 |
| პადოვა | 20 | 6 | 2 | 12 | 22-43 | 20 |
| კრემონეზე | 20 | 5 | 4 | 11 | 16-23 | 19 |
| რეჯანა | 20 | 3 | 3 | 14 | 14-27 | 12 |
| ბრეშია | 20 | 2 | 6 | 12 | 10-28 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 17
აბელ ბალბო (რომა) — 13
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 13
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 13
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 10
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 10
ფაბრიციო რავანელი (იუვენტუსი) — 8
ალენ ბოკშიჩი (ლაციო) — 7
ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) — 7
რუუდ გულიტი (სამპდორია) — 7

## ინგლისი

# «იუნაიტედი» მაინც დუბლს უმიზნებს

პირველობა. 13 თებერვალი: ვესტ ჰემი — ევერტონი 2:2. 18 თებერვალი: ქოვენთრი — ვესტჰემი 2:0; შეფილდ უენსდეი — ასტონ ვილა 1:2. 21 თებერვალი: არსენალი — ნოტინგემი 1:0
ლიგის თასის ნახევარფინალი. 15 თებერვალი: ლივერპული — კრისტალ პალასი 1:0
(ასოციაციის) თასის მერვედფინალი. 18 თებერვალი: ევერტონი — ნორვიჩი 5:0; ქუინზ პარკი — მილუოლი 1:0; ტოტენჰემი — საუთჰემპტონი 1:1; უოტფორდი — კრისტალ პალასი 0:0; ვულვერჰემპტონი — ლესტერი 1:0. 19 თებერვალი: ლივერპული — უიმბლდონი 1:1; მანჩესტერ იუნაიტედი — ლიდსი 3:1; ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი 3:1. მეოთხედფინალის წილისყრა: მანჩესტერ იუნაიტედი — ქუინზ პარკი; ევერტონი — ნიუკასლი; კრისტალ პალასი ან უოტფორდი — ვულვერჰემპტონი; უიმბლდონი ან ლივერპული — საუთჰემპტონი ან ტოტენჰემი.

წინა კვირაში პირველობამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ერთი, რომ შუა კვირაში ნაკრები ირლანდიაში თამაშობდა; მეორეც, მთელს მსოფლიოში უძველესი და უპრესტიჟულესი შეჯიბრების — ფეხბურთის ასოციაციის თასის მეხუთე წრე გაიმართა.

კარგად ითამაშა „ევერტონმა". ორშაბათს მათმა ყოფილმა მოთამაშემ, ან კი ვესტჰემელმა თომი ქოთიმ თავიდან ორი ბურთი კი შეუგდოთ, მაგრამ ლივერპულელებმა: რაიდაუთმა და შვედმა ანდერს ლიმპარმა ანგარიში მაინც გაათანაბრეს. შაბათს „ევერტონმა" გოლები დააწვიმა „ნორვიჩს": ანგარიში ლიმპარმა გახსნა მე-7 წუთზე, მერე კი პარკინსონმა, დანკან ფერგიუსონმა და სთოუნთონმაც ისახელეს თავი. ნორვიჩელი ჯონ ნიუსომი მოედნიდან გააძევეს.

„ქოვენთრის" ახალი მწვრთნელი ჰყავს. სამშაბათს გადააყენეს ფილ ნილი, ერთი დღის შემდეგ კი დანიშნეს რონ ათქინსონი, რომელიც შარშან ნოემბერში „ასტონ ვილამ" დაითხოვა. გამოცდილი სპეციალისტის ხელი უმალ დაეტყო გუნდს: სამხრეთაფრიკელი ანდაუის და მარშის გოლებით შაბათს „ვესტ ჰემი" დაამარცხა. იმავე დღეს ბიგზისა და სონდერსის გოლებით „ასტონ ვილა" სტუმრად 2:0 იგებდა, „შეფილდ უენსდეიმ" კი ისღა შეძლო, რომ ბრაისის გოლით სხვაობა შეამცირა.

„ლივერპული" ერთბაშად ორ კურდღელს მისდევს — ორივე თასს შემორჩენია, თუმცაკი გოლები ძნელად გააქვს: წინა კვირამდე გამართულ ბოლო 9 თამაშში მხოლოდ 5-ჯერ მიაღწია მიზანს. ეხლაც გუნდმა კვირის მანძილზე ორი სათასო მატჩი გამართა და თითო გოლს დასჯერდა: თუ ლიგის თასზე რობი ფაულერის მიერ წამატებულ წუთებზე გატანილმა ბურთმა „ლივერპულს" გაამარჯვებინა, მის მიერვე „უიმბლდონის" კარში 30-ე წუთზე შეგდებულმა ანფილდელებს ანგარიში გაათანაბრებინა, ოდენ ფრე მოუტანა და საქმე სტუმრად გადასათამაშებლად გაუხადა. გუნდი ორ მომდევნო ოთხშაბათს ლონდონში გაატარებს: ჯერ „კრისტალ პალასს" ლიგის თასის განმეორებითი ნახევარფინალი უნდა გაუმართოს, ერთი კვირის თავზე კი „უიმბლდონს" ასოციაციის თასის მერვედფინალის გადათამაშებაში შეებას.

უმთავრეს შეჯიბრში სულ სამი მერვედფინალია გადასათამაშებელი. გათამაშების ფავორიტმა „ტოტენჰემმა", რომელიც თასზე ნახალწლევს ალადგინეს, შინ ვერ მოუგო „საუთჰემპტონს" 1:1 გოლები შუა პირველ ტაიმში, ერთწუთიანი ინტერვალით გავიდა. ჯერ შერინგემმა დაარტყა, უოკერმა მოიგერია, მაგრამ კლინსმანმა დაამატა და სეზონის მე-20 გოლი გაიტანა. თამაშის განახლებისთანავე „სპურზმა" პენალტი აიკიდა და ლე ტიზიემ ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში ლე ტიზიეს დარტყმული ბურთი კარის ჯვარედს მოხვდა, ბოლოს კი კლინსმანი კოჭლობით გაიყვანეს. კვირას გამოცხადდა, რომ იურგენი გერმანიის ნაკრების კაპიტნად აურჩევიათ დაშავებული მათეუსის მაგივრად.

ზედიზედ მეორე დუბლს უმიზნებს „მანჩესტერ იუნაიტედიც". შინ „ლიდსის" წინააღმდეგ მანჩესტერელებმა საწყის სამ წუთში ორი გოლი შეაგდეს: გიგზმა ორჯერ მოაწოდა კუთხური. პირველად ბურთს ბრუსმა დაუხვედრა თავი, მეორედ კი ჯერ პალისტერმა დაარტყა, მერე კი კლეარმა თავით დაამატა. შესვენებისას სტუმრებმა ორი კაცი შეცვალეს და განელი იებოას გოლით სხვაობაც შეამცირეს, მაგრამ ბოლოს პიუზმა მესამე გოლიც გაიტანა.

კევინ კიგანის „ნიუკასლმა" იანვარში გადაიბირა ჩრდილოეთირლანდიელი ქის გილესპი. ამანაც მწვრთნელს იმედი გაუმართლა და „სენთ-ჯეიმზის პარკზე" „მანჩესტერ სიტის" ორი ბურთი გაუტანა.

ამ ეტაპზე თასს სამი პირველჯგუფელიღა შემორჩენოდა. „მილუოლი" კი გაუძალიანდა „ქუინზ პარკს", მაგრამ წამატებულ დროში ბირდმა საჯარიმოში ხელით ითამაშა და პირველობის წარმომადგენელიც ვილსონის პენალტით გავიდა შემდეგ წრეში. „უოტფორდი" გადასათამაშებლად „კრისტალ პალასს" უნდა ეწვიოს, ვულვერჰემპტონელმა „მგლებმა" კი გააგდეს პირველობის მაჩანჩალა „ლესტერი". ერთადერთი ბურთი 34-ე წუთზე შეაგდო იმ დევიდ ქელიმ, ვისმა „უდროო" გოლმაც სამი დღით ადრე ირლანდია — ინგლისის თამაში ჩაშალა.

ახალი კვირა გამორჩეულად დაიწყო. თამაშამდე რამდენიმე საათი რომ რჩებოდა, „არსენალმა" მოხსნა 50 წლის შოტლანდიელი მწვრთნელი ჯორჯ გრემი, ვისი უფროსობითაც „მეთოფეებმა" რვანახევარ სეზონში ექვსი ტიტული მოიპოვეს, მაგრამ წელს ორივე საშინაო თასიდან გავარდნენ და თასების თასის შენარჩუნების იმედადღა არიან. წარუმატებლობათა გარდა გრემის განტევების მიზეზი ფინანსურიც ყოფილა. დანიელი იონ იენსენი 2 მილიონ გირვანქად რომ შეუძენია, ნორვეგიელი შუამავლისგან ძლვნად 85 ათასი ჩაუჯიბავს, მაგრამ ქრთამის გამჟღავნების შემდეგ ფული კლუბის ხაზინისთვის ჩაუბარებია. გუნდი სათამაშოდ გრემის თანაშემწე სტიუარტ ჰიუსტონმა განაწყო და კიდეც გაამარჯვებინა: რეაბილიტირებული პოლ მერსონის გადაცემით კრის კიუმიურმა 82-ე წუთზე ერთადერთი ბურთი გაიტანა და თავისიანებს ოქტომბრის შემდეგ პირველად გაამარჯვებინა შინ, „ჰაიბრის" სტადიონზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 28 | 18 | 6 | 4 | 51-21 | 60 |
| ბლექბერნი | 27 | 18 | 5 | 4 | 58-24 | 59 |
| ნიუკასლი | 28 | 14 | 9 | 5 | 47-30 | 51 |
| ლივერპული | 27 | 13 | 9 | 5 | 46-22 | 48 |
| ნოტინგემი | 29 | 13 | 7 | 9 | 41-32 | 46 |
| ტოტენჰემი | 27 | 12 | 7 | 8 | 45-38 | 43 |
| ლიდსი | 26 | 10 | 9 | 7 | 34-28 | 39 |
| შეფილდ უენს. | 28 | 10 | 9 | 9 | 37-35 | 39 |
| ასტონ ვილა | 29 | 9 | 10 | 10 | 41-38 | 37 |
| არსენალი | 29 | 9 | 10 | 10 | 32-32 | 37 |
| უიმბლდონი | 27 | 10 | 6 | 11 | 32-47 | 36 |
| ნორვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 27-31 | 35 |
| ქოვენთრი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-45 | 34 |
| ჩელსი | 27 | 8 | 9 | 10 | 35-38 | 33 |
| მანჩესტ. სიტი | 27 | 8 | 8 | 11 | 35-44 | 32 |
| საუთჰემპტონი | 27 | 6 | 13 | 8 | 39-44 | 31 |
| ქუინზ პარკი | 26 | 8 | 7 | 11 | 39-45 | 31 |
| ევერტონი | 28 | 7 | 10 | 11 | 29-38 | 31 |
| კრისტ. პალასი | 28 | 7 | 9 | 12 | 21-28 | 30 |
| ვესტ ჰემი | 28 | 8 | 5 | 15 | 26-37 | 29 |
| იფსვიჩი | 27 | 5 | 5 | 17 | 29-55 | 20 |
| ლესტერი | 27 | 4 | 7 | 16 | 25-46 | 19 |

## ესპანეთი

# კუმანი ჰკლებიათ

XXII ტური. 18 თებერვალი. ბარსელონა — ესპანიოლი 3:0. 19 თებერვალი. სოსიედადი — ატლეტიკო 3:1, ოვიედო — სარაგოსა 2:1, ვალიადოლიდი — კომპოსტელა 2:0, ლა კორუნია — რასინგი 3:0, სელტა — სპორტინგი 2:0, ლოგრონიესი — სევილია 0:2, ბეტისი — ატლეტიკი 0:0, რეალი — ალბასეტე 0:0, ტენერიფე — ვალენსია 1:2

სანტანდერში განადგურების შემდეგ კრუიფმა თანამემამულე კუმანი დააბრუნა შემადგენლობაში და ამანაც შაბათის მატჩის მეორე წუთზევე საფირმო 40-მეტრიანი პასი მიართვა სტოიჩკოვს. ხრისტომ ჩაუწუილა „ესპანიოლის" მცველებს და სეზონში მე-8 გოლი გაიტანა. მერე საუკეთესო ევროპელმა ფეხბურთელმა ასისტენტობა არჩია და ჯერ 22-ე წუთზე ბეგირისტაინს გაატანინა, 27-ეზე კი ქუსლური პასი მისცა სერხის, ამან კი ზუსტად ისეთივე გოლი შეაგდო, ქეცბაიამ რომ გაიტანა უელსის კარში. ეს სერხის პირველი გოლი იყო სეზონში. ამგვარად „ბარსამ" ნახევარ საათშივე მიაღწია საწადელს და თანქალაქელ გუნდს ესეც აკმარა. „ბარსელონამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბუსკეტი, ფერერი, გვარდიოლა, კუმანი, სერხი, ბაკერო, კორნეევი (ივანი), სტოიჩკოვი, ესკურსა, ხოსე მარი, ბეგირისტაინი (კრუიფი). რაც შეეხება „ესპანიოლის" რუმინელ ფორვარდ ფლორინ რადუჩოუს, მან ვერაფერი იხეირა და მატჩის მიწურულს იგი ბულგარელი იოტოვით შეცვალეს.

კვირას ასეთივე ანგარიშით მოიგო „დეპორტივომ". ლა კორუნიელებმა ტრავმირებული მაურო სილვა მოისაკლისეს, მაგრამ ვორომ, დონატომ პენალტით და ბებეტომ ეს გუნდს არ დაამჩნიეს. მდევრების ამგვარ ქმედებას ვერაფერი დაუპირისპირა „რეალმა" და სხვაობაც შემცირდა. დანარჩენი მატჩებიდან გამოვყოფთ „ოვიედოს" გამარჯვებას, რომლის სულისჩამდგმელი ექს-რეალელი პროსინეჩკი იყო და „ატლეტიკოს" მორიგ მარცხს - ორი გოლი ხილი-ხილის გუნდს რუსმა კარპინმა გაუტანა.

„რეალმა" და „ბარსელონამ" შუა კვირაში სამეფო თასიდან გავარდნაც მოასწრეს: მადრიდელებმა კვლავ წააგეს „ვალენსიასთან" 1:2, „ბარსამ" კი 3:1 მოიგო სტუმრად, ლოპეტეგიმ ორი პენალტიც მოიგერია, მაგრამ შინ 1:4 წაგებული ვერ აინაზღაურა და მეოთხედფინალის საგზური „ატლეტიკოს" დაუთმო. კენჭისყრამ მეოთხედფინალში გუნდები ასე დააწყვილა: დეპორტივო — ატლეტიკი, ატლეტიკო — ალბასეტე, მალიორკა — ვალენსია და სპორტინგი — რაიო ვალეკანო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 14 | 6 | 2 | 52-16 | 34 |
| ლა კორუნია | 22 | 11 | 8 | 3 | 37-20 | 30 |
| ბარსელონა | 22 | 12 | 5 | 5 | 38-29 | 29 |
| ბეტისი | 22 | 8 | 10 | 4 | 27-13 | 26 |
| სარაგოსა | 22 | 11 | 4 | 7 | 33-29 | 26 |
| სევილია | 22 | 9 | 6 | 7 | 28-23 | 24 |
| ატლეტიკი | 22 | 8 | 8 | 6 | 18-19 | 24 |
| ტენერიფე | 22 | 8 | 6 | 8 | 31-26 | 22 |
| ესპანიოლი | 22 | 7 | 8 | 7 | 28-24 | 22 |
| სოსიედადი | 22 | 6 | 10 | 6 | 28-24 | 22 |
| ვალენსია | 22 | 7 | 8 | 7 | 29-27 | 22 |
| ოვიედო | 22 | 8 | 6 | 8 | 24-23 | 22 |
| სელტა | 22 | 6 | 9 | 7 | 20-28 | 21 |
| კომპოსტელა | 22 | 6 | 8 | 8 | 22-31 | 20 |
| ალბასეტე | 22 | 5 | 9 | 8 | 28-35 | 19 |
| ვალიადოლიდი | 22 | 5 | 8 | 9 | 16-37 | 18 |
| ატლეტიკო | 22 | 6 | 5 | 11 | 33-35 | 17 |
| რასინგი | 22 | 6 | 5 | 11 | 25-31 | 17 |
| სპორტინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 25-40 | 17 |
| ლოგრონიესი | 22 | 1 | 6 | 15 | 7-39 | 8 |

## გერმანია

# ემილის ბუნდესდებიუტი

XVIII ტური. 17 თებერვალი. ფრაიბურგი — კარლსრუე 2:1, დუისბურგი — ურდინგენი 2:0, კიოლნი — აინტრახტი 3:0. 18 თებერვალი. მონხენგლადბახი — შალკე 0:1, ვერდერი — დინამო 1:0, ბოხუმი — ბაიერნი 1:2, ჰამბურგი — შტუტგარტი 0:2, მიუნხენ 1860 — დორტმუნდი 1:5, კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი 1:0

არდადეგების შემდეგ მოედნებს დაუბრუნდნენ გერმანული კლუბები. თუმცა როგორც ჩანს, ზამთრის ძილისგან ჯერ ხეირიანად მხოლოდ ლიდერი და „კიოლნი" გამოფხიზლდნენ. „კიოლნმა" ლაბადიას ბრწყინვალე თამაშით (2 გოლი პლუს 2 ძელი) მოუგო „აინტრახტს", რომელსაც სათადარიგოთა სკამიდან ცხადაძე დაუბრუნდა, დორტმუნდის „ბორუსიამ" კი მორიგი ნაბიჯი გადადგა სანუკვარი მიზნისკენ და ცორკის, ზამერის, რიდლეს, შაპუიზისა და მიოლერის გოლებით „მიუნხენ 1860" მისსავე სტადიონზე დაამარცხა, მაგრამ სხვაობა „ბაიერნთან" ვერ გაზარდა, ვინაიდან ახალბედა ემილ კოსტადინოვმა თავისი დებიუტი ბუნდესლიგაში გოლით დაამშვენა, მას პელმერიც დაეხმარა და „ბაიერნმაც" გაიმარჯვა. „შტუტგარტმა" პრინციპული მატჩი მოიგო, მაგრამ შემდეგში ჰამბურგში გაძევებულ მეკარესა და ბრაზილიელ დუნგას მოისაკლისებს. „ვერდერის" ერთადერთი გოლი ავსტრიელმა ჰერცოგმა პენალტით შეაგდო, „კაიზერსლაუტერნმა" კი ჩეხი პაველ კუკას ზუსტი დარტყმით აჯობა ფიოლერისა და შუსტერის „ბაიერს".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 18 | 13 | 4 | 1 | 45-15 | 30 |
| ვერდერი | 18 | 11 | 4 | 3 | 32-19 | 26 |
| ფრაიბურგი | 18 | 11 | 3 | 4 | 37-22 | 25 |
| ბაიერნი | 18 | 8 | 8 | 2 | 33-23 | 24 |
| კაიზერსლაუტ. | 18 | 9 | 6 | 3 | 26-20 | 24 |
| გლადბახი | 18 | 9 | 5 | 4 | 37-[illegible] | [illegible] |
| კარლსრუე | 18 | 7 | 7 | 4 | 29-25 | 21 |
| ლევერკუზენი | 18 | 6 | 8 | 4 | 31-22 | 20 |
| ჰამბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 26-23 | 18 |
| შტუტგარტი | 18 | 7 | 4 | 7 | 33-35 | 18 |
| შალკე | 18 | 5 | 7 | 6 | 23-24 | 17 |
| აინტრახტი | 18 | 6 | 4 | 8 | 19-28 | 16 |
| კიოლნი | 18 | 5 | 5 | 8 | 29-36 | 15 |
| ურდინგენი | 18 | 2 | 6 | 10 | 15-28 | 10 |
| დინამო | 18 | 3 | 4 | 11 | 17-32 | 10 |
| ტსვ მიუნხენი | 18 | 2 | 6 | 10 | 18-35 | 10 |
| დუისბურგი | 18 | 3 | 3 | 12 | 14-33 | 9 |
| ბოხუმი | 18 | 3 | 2 | 13 | 19-41 | 8 |

## თურქეთი

# მშვიდობით, ჩემპიონობავ?

[illegible] შემთხვევაში სხვაობა ლიდერსა და „ტრაბზონსფორს" შორის ორად-ორ ქულამდე მცირდებოდა და შოთა-აჩის გუნდს ჩემპიონობის რეალური შანსი უჩნდებოდა, მაგრამ სტუმრებმა მხოლოდ 11 წუთი გაძლეს, მერე კი მეთინმა პირველად აიღო გრიშკოს კარი. 41-ე წუთზე მანვე თავურით მეორედ ისარგებლა „ტრაბზონის" მცველთა შეცდომით, მეორე ტაიმში მეჰმეთმა და სვერისონმა ამას კიდევ ორი დაუმატეს, ამასობაში კი „ბეშიქთაშის" გერმანელი მეკარე აუმანი უსაქმოდ იყო და საქმეც „ტრაბზონის" გამანადგურებელი მარცხით დამთავრდა. არველაძეების გუნდს ახლა „ფენერბაჰჩეც" წამოეწია — შინ „ვანსფორი" 2:1 დაამარცხა და ქულითღა ჩამორჩება „ტრაბზონს", თან ნისლის გამო გადადებული ერთი თამაში მარაგში აქვს, ასევე 21 თამაში აქვს „გალათასარაის", რომელმაც კვირას სტუმრად 2:0 მოუგო „ქაისერის", ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ალთაი — ფეთროლოფისი 1:0, სამსუნფორი — ბურსასფორი 1:1, გაზიანთეპი — ადანადემისფორი 2:0, ანკარაგიუჯუ — ქოჯაელისფორი 2:1, ანთალიასფორი — გენჩლერბირლიგი 0:0, დენიზლისფორი — ზეითინბურნუ 1:0. მომავალ ტურში ლიდერი „ბეშიქთაში" შაბათს ბურსაში თამაშობს, „ტრაბზონი" კი კვირას „გაზიანთეპს" უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 22 | 16 | 4 | 2 | 52-15 | 52 |
| გალათასარაი | 21 | 15 | 3 | 3 | 52-19 | 48 |
| ტრაბზონი | 22 | 13 | 5 | 4 | 47-22 | 44 |
| ფენერბაჰჩე | 21 | 13 | 4 | 4 | 51-22 | 43 |
| გენჩლერი | 22 | 11 | 7 | 4 | 33-25 | 40 |
| ბურსა | 22 | 10 | 6 | 6 | 30-21 | 36 |
| ვანი | 21 | 9 | 2 | 10 | 26-27 | 29 |
| ქაისერი | 22 | 8 | 5 | 9 | 36-47 | 29 |
| სამსუნი | 22 | 7 | 7 | 8 | 37-40 | 28 |
| გაზიანთეპი | 22 | 7 | 5 | 10 | 28-33 | 26 |
| დენიზლი | 22 | 7 | 5 | 10 | 29-36 | 26 |
| ანკარაგიუჯუ | 22 | 7 | 5 | 10 | 29-36 | 26 |
| ალთაი | 22 | 5 | 9 | 8 | 26-35 | 24 |
| ქოჯაელი | 21 | 6 | 5 | 10 | 31-35 | 23 |
| ანთალია | 21 | 5 | 6 | 10 | 20-28 | 21 |
| ზეითინბურნუ | 22 | 5 | 5 | 12 | 21-46 | 20 |
| ფეთროლოფისი | 22 | 5 | 2 | 15 | 19-48 | 17 |
| ადანადემი | 22 | 3 | 3 | 16 | 19-47 | 12 |

## კვიპროსი

# მოედანზეა... ხელკეტები

წინა ტურში „ანორთოსისის" დამარცხების შემდეგ „ოლიმპიაკოსმა" „ომონიასთანაც" ღირსეული ბრძოლა გადაწყვიტა და პირველივე წუთებზე ძელსაც გაარტყა ბურთი, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ძალები აშკარად არათანაბარი იყო: ჯერ გოგრიჭიანმა შეაგდო, მაგრამ არ ჩაუთვალეს, 22-ე წუთზე კი ყიზილაშვილმა ანგარიში გახსნა. თხუთმეტ წუთში დათომ სწრაფად ჩაუარა მცველებს, მოულოდნელად ქუსლური პასი გააკეთა და ამას დუდიჩის მეორე გოლი მოჰყვა. აქ სტუმრებმა ღირსეულ თამაშს თავი ანებეს და უღირსზე გადავიდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ალბანელი სალვადორ კაჩაი, ვისაც ალბათ გოგრიჭიანის ბოლმა ჰქონდა ტირანიდან გამოყოლილი. მეორე ტაიმის დასაწყისში კაჩაიმ გოჩა კიდევ ერთხელ დასცა მიწაზე და... გუნდი-გუნდზე ჩხუბი ატყდა. ბოლოსდაბოლოს, ფეხბურთელები ხელკეტებით შეიარაღებულმა პოლიციელებმა გაამველეს. 74-ე წუთზე „ომონიამ" კლასიკურად დასაჯა მეტოქე უხეში თამაშისთვის — კანტილოსმა ჩაჭრა სტუმართა მცველების უხეირო პასი და თავის გუნდს დიდი ანგარიშით მოაგებინა. მოიგო „ომონიას" მთავარმა მეტოქემ „ანორთოსისმაც", თუმცა ამას შინ ერთობ გაუჭირდა და „აპოლონს" 2:1 მოუგო. აუტსაიდერები ამ დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ — მოულოდნელად 9 ქულის პატრონმა, როინ კერძევაძის „ომონია არადიპუმ" სტუმრად კუდინოვის „არისი" 2:1 დაამარცხა და უშუალო მეტოქეს გაუთანაბრდა. ამ მატჩში ჩვენებს თავი არ გამოუჩენიათ, თუ არ ჩავთვლით კერძევაძის ყვითელ ბარათს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნეა სალამინა — პარალიმნი 2:0, ეთნიკოსი — პეზოპორიკოსი 1:0, ა.ე.ლ. — აპოელი 2:1. ლიდერი კვლავ „ომონიაა" (48 ქულა) და კვლავ ქულით უსწრებს „ანორთოსისს".

# რბევა «ლენზდაუნ როუდზე»

ბებერ „ლენზდაუნ როუდს", რომელიც მსოფლიოს უძველესი სარაგბო სტადიონია (1878 წელსაა გახსნილი) და რომელსაც ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ნაკრების თამაშებისთვის ქირაობს, ასეთი რამ აქამდე თავს არასოდეს გადახდენია.

1964 წლის მერე 15 თებერვალს დუბლინს პირველად ეწვია ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები. მატჩის წინ ჩრდილოეთ ირლანდიური შერიგების წყალობით ბრიტანული ჰიმნი „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა" აჟღერდა, მაგრამ მერე და მერე ინგლისელ გულშემატკივართა ჯგუფმა, რომელიც დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებულიყო, ნაცისტური ლოზუნგების წამოძახებას მიჰყო ხელი. ინგლისელებს მოედანზე წინ „საუთჰემპტონის" გაზრდილნი: შირერი და ლე ტიზიე გაემწესებინათ, მაგრამ 23-ე წუთზე „ვულვერჰემპტონის" ირლანდიელმა მოთამაშე დევიდ ქელიმ ბურთი რომ გაიტანა, სტუმართა ფანები მთლად გამწარდნენ, სკამები დალეწეს და დუბლინელ გულშემატკივრებს შეებნენ, ამათ თავს იმით უშველეს, რომ ტრიბუნიდან მოედანს მიაშურეს. ლიანგურ ჩხუბში პოლიციაც ჩაება. აყალმაყალმა ხუთ წუთს რომ გასტანა, ჰოლანდიელმა მსაჯმა იფიქრა, საქმეს აღარაფერი ეშველებაო, გუნდების კაპიტნებს ეთათბირა და ფეხბურთელები ხიფათს გასახდელებში გაარიდა.

პირველად ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში, ინგლისის ნაკრების თამაში გულშემატკივართა მიზეზით ჩაიშალა. გუნდების მწვრთნელები: ტერი ვენეიბლზი (ინგლისის) და ინგლისელი ჯეკი ჩარლტონი (ირლანდია) დათრგუნვილები ჩანდნენ და ვერაფერი თქვეს. გვარიანად შეშინდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მთავარი აღმასრულებელი გრემ ქელი, ემანდ ამ აყალმაყალის გამო უეფამ საგაისო ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა არ ჩამოგვართვასო.

სტადიონი, რომლის ერთი ტრიბუნის ქვეშ დღესაც სარკინიგზო სადგური მოქმედებს, და რომელზეც 4 მარტს რაგბის ხუთი ერის პირველობის პროგრამით ირლანდია - საფრანგეთის მატჩი უნდა გაიმართოს, გაპარტახებულია. ინგლისის მორაგბეთა ნაკრები „ლენზდაუნ როუდზე" წელიწადგამოშვებით ჩადის, მაგრამ რაგბის ქომაგთა უსაქციელობა არავის სმენია.

რბევამ კარგა ხანს გასტანა. დაშავდა ხალხი, ერთი კი კიდეც მიიცვალა. უეფამ ფაქტების გამოძიება ბრძანა.

ფიფამ ხელი დაიბანა. დუბლინის პოლიციამ 60 კაცი დააპატიმრა. ირლანდიისა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციებმა ერთობლივი კომისია შექმნეს. ინგლისელებმა ქომაგებს მოუწოდეს, საგანგებო ტელეფონით შფოთისთავები დაგვაჭერინეთო. მომხდარით შეძრულმა გულშემატკივრებმაც მეტისმეტად იაქტიურეს - 900-ზე მეტმა დარეკა, რის შედეგადაც ყველა ამრევს მიაკვლიეს. ხალხი ჰკვირობს, ხულიგნებმა ბილეთები საიდან იშოვნესო.

ამასობაში, წარმოიშვა აზრი, რომ თამაში ხელახლა გამართონ, მაგრამ დარბეულმა ირლანდიელებმა უარი განაცხადეს, რადგან ჭკუა ნასწავლი აქვთ.

ვალერი ჯიქია

ნიგერიაში, მოგეხსენებათ, ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გამართულიყო, მაგრამ საქმე ძალიან აირია. ქალაქ კადუნაში თურმე მენინგიტი მძვინვარებს, ენუგოში კი ქოლერა. ეს რომ ფიფამ გაიგო, ქვეყნისთვის მასპინძლობის პატივის აყრა განიზრახა, მაგრამ ნიგერიული ფეხბურთის თავკაცები გაფთრდნენ და საჩივლელად ციურიხს ჩავიდნენ. ფიფას საგანგებო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კრის კუპერმა სხდომა მოიწვია, თუმცა მასზე მომჩივანნი არ დაუშვა. საქმე თავიდან განიხილეს, ცოტა ნიგერიის სასარგებლოდ თქვეს, ცოტა – საწინააღმდეგოდ, ბოლოს კი გადაწყვიტეს: აფრიკის ამ ქვეყანაში მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად უნდა ჩავიდნენ, ყველაფერი საკუთარი თვალით იხილონ. ექვსი კვირის მერე კვლავაც სათათბიროდ დასხდებიან. ნიგერიის სასარგებლოდ ის მოქმედებს, რომ ციურიხში მის შემცვლელ ქვეყანას ჯერ ვერ მიაგნეს. ბოლო ინფორმაციით, ნიგერიის სპორტის მინისტრი ბაბასოლლო როუდსი ფიფაზე ძლიერ ნაწყენია.

## ფეხბურთის რუკასთან



ალბანეთში მსაჯებმა გაფიცვა სცადეს. იქაური ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ედუარდ დერვიშიმ არბიტრთა საქციელი ასე ახსნა — ეგ ხალხი ამ ბოლო დროს სტადიონებზე გახშირებული ძალადობით შეწუხდაო. რომელილაც შეხვედრაში საქმე იქამდეც მისულა, პოლიციას გავეშებული ბრბოს დასაშოშმინებლად ჰაერში სროლა დასჭირვებია. გაფიცვა, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, იმით დასრულდა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ მსაჯებს დაუყვავა და ხულიგნებთან ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა.

ესპანეთში „ბარსელონას" პატრონებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს და ახალი მოთამაშეების შესაძენად 12,5 მილიონი დოლარი გადმოალაგეს.

საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ერიკ კანტონა, მას მერე, რაც ინგლისში გულშემატკივარი გალახა, გეხსომებათ, გვადელუპას პლაჟზე ნებივრობდა, როცა აი-ტი-ვის ჩასაფრებული ოპერატორი შენიშნა და მასაც შავი დღე აყარა. ამ შემთხვევაში ფრანგი მართალი ყოფილა და ახლა ოპერატორს სასამართლოში უნდა უჩივლოს. მის სამშობლოში კი ახალი მიღწევა დამყარდა: „ნანტმა" „მარტიგს" 2:0 მოუგო და ლიგის პირველი გუნდი გახდა, 26 თამაში რომ არ წაუგია. რაც შეეხება „მარტიგს", „ლიონთან" და „ნიცასთან" ერთად ფეხბურთის ფედერაციამ შინ ერთი თამაშის ჩატარება აუკრძალა, რადგან ამ გუნდების გულშემატკივრები თურმე საშინლად იქცევიან.

არგენტინაში, კერძოდ, მენდოსაში, ბულგარეთის ნაკრები ჩავიდა და მასპინძლებთან 1:4 წააგო. არგენტინელთაგან ორი პენალტი გალიეგომ გაიტანა, ორი ჩვეულებრივი გოლი კი რამბერმა. ბულგარელთა მხრიდან სირაკოვმა იყოჩაღა. ამ შეხვედრაში მსაჯმა ორჯერ ააფრიალა წითელი ბარათი, რომელთა მსხვერპლი ივანოვი და კირიაკოვი გახდნენ. წითელი ბარათი ერგო რუმინელ ლეკეტუშსაც სტუმრად თურქების წინააღმდეგ მატჩშიც, რომელიც 1:1 დასრულდა.

ბრაზილიას სლოვაკეთთან სათამაშოდ დაუწუნებია რომარიო, რომელსაც განუცხადებია, ნაკრები ზედმეტად დამღლისო. მისმა კლუბმა „ფლამენგომ" მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს საქციელი არ მოუწონა და ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშისკენ მოუწოდა, მაგრამ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ, ეგეთი შეუგნებელი კაცი არ გვჭირდებაო და, ვარსკვლავს კალთები აღარ დაახია.

ჰოლანდია — პორტუგალიის თამაშიც არ დარჩენილა უპრობლემოდ. „აიაქსის" ერთბაშად 9 მოთამაშემ იუარა ნაკრებში თამაში. თანაგუნდელები კაპიტანმა დენი ბლინდმა აიყოლია. მიზეზი ის არის, გადავიღალეთო. ფედერაციამ 8 შეთქმული დისკვალიფიკაციით დასაჯა.

მალაიზიის ფეხბურთში ატეხილმა სკანდალმა, გუნდების ტოტალიზატორებთან გარიგებამ რომ გამოიწვია, საოცარ მასშტაბებს მიაღწია. შინაგან საქმეთა მინისტრმა რვა ფეხბურთელი და ერთი მწვრთნელი ქვეყნის შორეულ, თანაც გასაიდუმლოებულ რაიონში გადაასახლა. დღეისთვისს 80-ზე მეტი კაცია დაჭერილი.

რუსეთში ვლადიკავკაზის „სპარტაკმა" საქართველოში აღზრდილი მეოთხე ფეხბურთელი გადაიბირა. ჩვენი ნაკრების წევრებს რევიშვილს, შელიას და გრიშიკაშვილს რუსეთელი ომარ თეთრაძე შეუერთდა. თეთრაძემ მოსკოვის „სპარტაკს" არც სამწლიანი კონტრაქტი დაუდო და არც ევროპულ ტურნეში წაყვა – ყველაფერს ოსეთის მდიდარ კლუბში გადასვლა არჩია.

ესპანეთში მადრიდის „ატლეტიკოს" გადარეულმა პრეზიდენტმა ხესუს ხილი-ხილმა მოხსნა მე-17 მწვრთნელი ხორხე დალესანდრო. მის ნაცვლად მე-18-ედ არგენტინის ნაკრების ყოფილ მოძღვარს ალფიო ბასილეს ეპატიჟებიან.

# შენ ცრუობ, სეზარ!




კეისარს ყოველთვის როდი მიეზღვება ხოლმე კეისრისა. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა დორტმუნდის „ბორუსიის" ბრაზილიელი მცველის ჟულიო სეზარის გარშემო ატეხილმა სკანდალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჰამის კუნძულებზე მყოფი „ბორუსიის" საწვრთნელი ბანაკი შეშფოთებას და ბრაზს მოეცვა. ფეხბურთელებს ვერაფრით გაეგოთ, რატომ აგვიანებდა მათი ბრაზილიელი კოლეგა შინიდან გუნდში დაბრუნებას. „ეს რომ მე ჩამედინა, იმავწამს გამაძევებდნენ კლუბიდან" – ნიშნისმოგებით განაცხადა ერთ-ერთმა მეორეხარისხოვანმა ფეხბურთელმა.

როგორროც იქნა, ძე შეცთომილი 10 დღის დაგვიანებით, დორტმუნდში შეუერთდა თანაკლუბელებს. „შატალოს" მიზეზი ასე ახსნა – ბაბუა მყავდა ავად და ვერ მივატოვეო. მწვრთნელმა ჰიცფელდმა და კლუბის მენეჯერმა მაიერმა ჟულიოს აღმზრდელობითი საუბარი ჩაუტარეს, თანაც, 25 000 მარკით დააჯარიმეს. – ჩვენ გავითვალისწინეთ მისი არგუმენტები და უფრო მკაცრ ზომებს აღარ მივმართეთო – განაცხადა მიხაელ მაიერმა. თუმცა შემდგომ დაეჭვდა სეზარის სიტყვების სიმართლეში და ფეხბურთელთან კიდევ ერთხელ, განცალკევებით საუბრის შემდეგ დაასკვნა, ეტყობა, არანაირი ბაბუა არ არსებობსო. ამის მიუხედავად, სასჯელის ზომა უცვლელი დარჩა. თანაგუნდელებმა სეზარს „ამხანაგური სასამართლო" მოუწყვეს: გუნდის კაპიტანმა მიხაელ ცორკმა, დაგმო რა თანაგუნდელის უღირსი საქციელი, ესეც აღნიშნა, სეზარი უწინ სამაგალითო სპორტსმენი იყოო. შტეფან ფროინდმა კი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბრაზილიელი: ჩვენ, ფეხბურთელები, ვთვლით, რომ ჟულიო სეზარმა გვიღალატა. „ბორუსიას" ჩემპიონობა სურს და ყოველი ასეთი გამოხდომა, ვინც არ უნდა ჩაიდინოს იგი, ნერვებზე გვშლის და კალაპოტიდან გვაგდებსო.

რა მოელოდა მეპატრონისგან სეზარს, ის რომ ჩვეულებრივი დურგალი ან შუშების მრეცხავი ყოფილიყო? რა და, გერმანიის სამოქალაქო სამართლის 62 პარაგრაფის საფუძველზე, სამსახურის თვითნებურად გაცდენისთვის სამუშაოდან კინწისკვრით გააგდებდნენ.

კანონის ეს მოთხოვნა რომ შეესრულებინათ, ჟულიოსთვის წლიური ხელფასი – 600 000 მარკა უნდა დაექვითათ, თანაც ტრიბუნაზე დაესვათ, ან, უკეთეს შემთხვევაში, მოყვარულთა გუნდში გაემწესებინათ. „ბორუსიის" ხელმძღვანელობამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და სეზარს ნება დართო, მეორე წრის პირველ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ეთამაშა.

ერეკლე კიკილაშვილი

„შპორტ-ბილდის" მიხედვით

BEAU (11) MONDE

## ალესანდრო დელ პიერო

დაიბადა 1974 წლის 9 ნოემბერს კონელიანოში, ტრევიზოს მახლობლად.

კლუბები: „პადოვა", „იუვენტუსი"

დიბიუტი სერია A-ში: 1994 წელი, „იუვენტუსი" — „ფოჯა" (1:1)

# ბებერ ქალბატონს ეს ბიჭი მოსწონს




„არ მესმის, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის შეგირდობა სამარცხვინო რად არის. მე დრო მჭირდება. ვნახოთ, ერთი წელი მეყოფა, ორი თუ ხუთი. ხუთიც რომ იყოს, არაფერია. მთავარია, დაუზარლად ვიშრომო, ხოლო რამდენად შორს წავალ, გამოჩნდება" — თქვა ალესანდრო დელ პიერომ, რომელსაც ხშირად ბაჯოს, როსის და პლატინის ადარებენ. დღევანდელ „იუვენტუსში", თუნდაც ამომავალი ვარსკვლავისთვის, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ყოფნა ძალიან ძნელია. გუნდში, სადაც რობერტო ბაჯო, ჯანლუკა ვიალი და ფაბრიცო რავანელი თამაშობენ, თავიდანვე როგორ გაილაღებ? თუნდაც იმიტომ, რომ ყველას, თითქოს საქმე გამოლევიათო, ერთი რამ დაუჩემებია — მისი ბაჯოსთან შედარება. ¬აქვს თუ არა დელ პიეროს ბაჯოსნაირი პასი, ასრულებს თუ არა ფინტს რობერტოს დარად, კარში მისებრ ზუსტად არტყამს თუ არა? მხიბლავს, ბაჯოს, პლატინის და როსის რომ მადარებენ, მაგრამ მხოლოდ დელ პიერო ვარო, ამბობს თავად, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს. ბოლო ხანს ესეც შენიშნა: თუ ადრე გასახდელიდან გამოსულს ზედაც არავინ უყურებდა, ახლა მისი გამოჩენა და ჟურნალისტთა ბლოკნოტების გადაშლა ერთია. „იუვეს" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ კი შედარებებისგან სხვებზე მეტად შეიკავა თავი: „როგორც ჩანს, დელ პიეროს წარსულის და აწმყოს უდიდეს მოთამაშეებთან შედარება მოდაშია. მე მხოლოდ ერთს გეტყვით — მისი დარტყმები პლატინისეულს მაგონებს — ეს არის და ეს. ალესანდროს თავისებური, ბუნებრივი ნიჭი მომწონს. იგი ჭკვიანია და მწვრთნელის დავალებას უცბად ხვდება". მშვიდი ბუნება დელ პიეროს პრობლემებისგან იცავს. კლუბში მას რაიმე სირთულე არ შექმნია. იტალიის ჩემპიონატში მისმა ბრწყინვალე გამოჩენამ „იუვენტუსს", სულ მცირე, სარფიანი ტრანსფერის საშუალება მისცა, მაგრამ გუნდისთვისვე უმჯობესია, თუ ალესანდროს გაყიდვა-გასხვისების ნაცვლად მას ადგილს მოედანზე მოუძებნის. ცხადია, ეს უფრო ძნელი ამოცანაა — არ გინდა, რომელიმე დიდი იუვენტუსელი სკამზე დასვა?

სერია „A"-ში დელ პიერომ თავის უკვე მესამე თამაშში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ლაპარაკია იმ თამაშებზე, თავიდანვე რომ გაიყვანეს, თორემ შეცვლაზე შესვლებსაც თუ ჩავთვლით, ცოტა მეტი გამოვა. იმ მატჩში „პარმას" წინააღმდეგ ოცი წლის მორცხვი ახალგაზრდა მწვრთნელმა დაშავებული ბაჯოს მაგივრად ათამაშა და ხელად მთელი იტალია ალაპარაკდა, ეს რა გვეზრდებაო. საბოლოოდ, გასულ სეზონში ალესანდრომ 11 თამაშში 5 გოლი გაიტანა, რაც, ცხადია, მშვენიერი შედეგია. შარშანდელ სექტემბერს, ახალი პირველობის სტარტზე რობერტო ბაჯო მსოფლიოს ჩემპიონატზე გამიზეზებულ ტრავმას იმუშებდა და დელ პიეროც მისი მეათენომრიანი მაისურით გამოდიოდა, მაგრამ საკმარისი იყო მაისურის მთავარ მფლობელს მკურნალობა დაესრულებინა, რომ ჩვენი „ბომონდის" გმირი კვლავ სკამზე გადაბარგდა.

ალესანდრო დელ პიერომ თავი პირველად მშობლიური ქალაქის, ტრევიზოსთან მდებარე კონელიანოს ბიჭების გუნდში „სან ვენდემიამოში" გამოიჩინა. აქედან ფეხბურთელი მოხვდა „პადოვაში", სადაც ცნობილმა ფრანკო კაუზიომ შენიშნა და თავი „იუვენტუსში" ამოაყოფინა. ოღონდ „ბებერ ქალბატონში" ნაღდად გადასვლამდე იგი ცოტა ხნით „პადოვაშივე" დატოვეს, კლასი აქ აიმაღლეო. იმავდროულად ალესანდრო ქვეყნის 18-წლიანთა ნაკრებს კაპიტნობდა.

დღეს დელ პიერო ძალიან გაუთამამდა „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობას. ისიც ფაქტია — სხვა გუნდის წევრი რომ იყოს, მისი ნიჭის პატრონი სულ მოედანზე იქნებოდა, მაგრამ ჭკუადამჯდარ ალესანდროს, როგორც ჩანს, დიდ გუნდში ყოფნა და ბაჯოს შეგირდობა უჯობს. ეს მისი საქმეა, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ავწონ-დავწონეთ და „ბომონდში" შევიყვანეთ. სწორედ მოვიქეცით თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ილია ბაბუნაშვილი

ატლანტა-96

# მასვი, მაჭამე, მამზადე...

ქართველი სპორტსმენები მალე დაიწყებენ ინტენსიურ მზადებას ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის. ამ მხრივ მათ დიდად წაადგებათ საქართველოს და გერმანიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ჩვენი 50 ათლეტი გერმანიის ბაზებზე გაივლის მინიმუმ ორკვირიან შეკრებებს. ამ შეთანხმებას ჩვენი ეოკ-ის ხელმძღვანელობის გერმანიაში ვიზიტისას მოეწერა ხელი. თუმცალა, ამ საქმეში საქართველოს გერმანიაში და გერმანიის საქართველოში საელჩოებსაც მიუძღვით წვლილი.

ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები (7-7 კაცი) 25 თებერვალს მიემგზავრებიან გერმანიაში და იქ 10 მარტამდე დარჩებიან. შემდეგ მათ 10 ძიუდოისტი შეცვლის. აპრილს გერმანიაში 5 ძალოსანი ჩავა და ორკვირიანი მზადების შემდეგ პირდაპირ ჩეხეთში, პრალაში გადავლენ ევროპის ჩემპიონატში სასპარეზოდ.

მიმდინარეობს თარიღების დაზუსტება მსროლელთა და მოკრივეთათვის. მოემზადება სამი 1982 წელს დაბადებული ჩოგბურთელიც, რომლებიც ინგლისის ქალაქ ბათში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში იასპარეზებენ.

გერმანიაში ჩვენი სპორტსმენების მხოლოდ კვება და დაბინავება დაახლოებით 80 ათასი დოლარი დაჯდება. ამაში არ შედის სპორტულ სარბიელთა იჯარა და გერმანიის ტერიტორიაზე გადაადგილება.

რაც შეეხება თავად გერმანიაში ჩასვლას. ალბათ, ჩვენს სპორტსმენებს ამ მხრივ დაბრკოლებები არ ექნებათ. ყოველ შემთხვევაში, მათ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელების კახი ასათიანის და ჯანო ბაგრატიონის, აგრეთვე ავიაკომპანია „ეირ ჯორჯიას" დიდი იმედი აქვთ...

# შეფი სტამბოლსაც არ გამოსცილებია

...თუ გაზეთში კითხულობთ, ესა და ეს შეჯიბრება დღეს გაიმართებაო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სიტყვების მთქმელმა გუშინ, გუშინწინ ან უფრო ადრე, სანამ კალამს ხელს მოჰკიდებდა, თითებზე გადაითვალა, რა დღე გამოდიოდა შეჯიბრების თარიღი, ნახა, რომ ეს სწორედ ის დღეა, მკითხველი გაზეთს რომ მიიღებს და, დღეს გაიმართებაო, ამიტომ დაწერა, თორემ მაშინ მისთვის ეს თარიღი ხვალ, ზეგ ან მაზეგ იყო. ახლა წარმოიდგინეთ, იმისთვის, რომ ის გაზეთი ოთხშაბათს გაიყიდოს, რედაქციაში მისი საბოლოო სახით შექმნა ორშაბათს უნდა დასრულდეს, ვინაიდან ჩვენს არეულ ქვეყანაში სტამბას მთელი ტირაჟის დასაბეჭდად, გამავრცელებელ სამსახურს კი მის კიოსკებამდე მისატანად მთელი 36 საათი სჭირდებათ. გამოდის, რომ თუ ორშაბათს, ოთხშაბათის მკითხველს სამშაბათის ამბავს აცნობ, გუშინ ასე და ისეო, უნდა დაწერო, თუნდაც ეს გუშინ, სინამდვილეში ხვალ იყოს. ხვალ კი შეიძლება რაღაც შეიცვალოს, ოღონდ ეგ არის, ჟურნალისტი ვეღარას გაწყობს, გაზეთი უკვე იბეჭდება. ახლა დადგა დრო, თავსატეხისთვის ბოდიში მოვიხადოთ. ისიც ვიცით, რომ გაზეთის ბეჭდვა მკითხველის პრობლემა არ არის, არ აინტერესებს და არც უნდა აინტერესებდეს, მაგრამ, გვერწმუნეთ, რებუსებით არ დაგღლიდით, ამ ორშაბათ-სამშაბათ-ოთხშაბათობანას „სარბიელისთვის" ერთგვარი უხერხულობა რომ არ შეექმნა. საქმე ეხება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის წერილს „შეფი აქ არის", რომელიც „სარბიელის" წინა ნომერში დაიბეჭდა და მსოფლიოს სპორტულ ჟურნალისტთა შეფის, თურქი თოგაი ბაიათლის საქართველოში მოსალოდნელ ვიზიტს შეეხებოდა. სტატია ორშაბათ-სამშაბათ-ოთხშაბათური P.S.-ით მთავრდებოდა, სადაც ბატონი ბაიათლი საქართველოში ჩამოვიდაო, ეწერა. ბატონი ბაიათლი კი... სტამბოლსაც არ გამოსცილებია. რას წარმოიდგენდნენ ქართველი სპორტული ჟურნალისტები, რომ საბოლოოდ შეთანხმებული და წუთებამდე გათვლილ-მომზადებული ვიზიტი ჩაიშლებოდა. მოლაპარაკებისამებრ, იგი 12 თებერვალს ტრაპიზონ „ტრაბზონსპორ" — „სამსუნსპორის" თამაშზე უნდა ჩასულიყო, იქ ღამე სასტუმრო „უსტაში" უნდა ჩამომხდარიყო, მეორე დილით კი ბარგი ჩაელაგებინა და 9 საათზე იმავე სასტუმროს ჰოლში ელგუჯა ბერიშვილს და ამ სტრიქონების ავტორს უნდა შეგვხვედროდა. აქედან მისსავე ქვეყანაში დახვედრილი ქართველები სპორტული პრესის „ხონთქარს" ჩვენსას ჩამოვიყვანდით, სადაც ელგუჯა ბერიშვილის მეცადინეობით მას ჯერ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე მიიღებდა, შემდეგ კი თბილისში ორი დღის განმავლობაში ნაირფერი პროგრამა დახვდებოდა. ქართველები ასლან აბაშიძის მიერ საგანგებოდ ამ საქმისთვის გამოყოფილი მანქანით ტრაპიზონს ჩავედით, მაგრამ სასტუმრო „უსტას" ჰოლში ვერავინ ვნახეთ. გაირკვა, რომ აქ თოგაი ბაიათლი ღამე არ გაჩერებულა. გავკადნიერდით და საერთაშორისო ორგანიზაციის თავკაცს სახლში დავურეკეთ. ბატონმა ბაიათლიმ გაოცებულმა გვითხრა, მანდ რადა ხართ, გუშინ ხომ სტამბოლს დიდი ნისლი ჩამოწვა, ტრაპიზონის თვითმფრინავი ვერ გამოფრინდა და აეროპორტში ხუთი საათიც ამაოდ მაყურყუტა, ამის თაობაზე გუშინვე ნაშუადღევს თბილისს (?!) ფაქსი გამოგიგზავნეთო. ფორმალურად ბაიათლი მართალია. თურქეთის დედაქალაქში წინა წინა დღით (და არა იმ დღეს, როცა ფრენა განახლდა) მართლაც ჯანღი ჩამოწოლილა, თანაც ფაქსიც გამოუგზავნია (ეგაა, ბათუმში წასულები თბილისში ნაშუადღევს გამოგზავნილ ფაქსს როგორ ვნახავდით), მაგრამ ეჭვიანი კაცის ამბავი მოგეხსენებათ და გულს მაინც ჭია ღრღნის. ამ ამბის დიდ გარჩევას ნულარ მოვყვებით, ერთი ვიკითხოთ მხოლოდ, ნეტავ თოგაი ბეგი სადმე იტალიაში ან საფრანგეთში რომ ყოფილიყო ასეთი ვიზიტით წასასვლელი, მაშინაც ასე მოიქცეოდა? იქნებ იქ ჩასაღწევად სხვა რამ ხერხისთვის მიემართა, ან მეორე დღეს, ცა რომ მოიწმინდა, მაშინ გამგზავრებულიყო. ვინძლო, ბოდიში მაინც უფრო შეწუხებულს მოეხადა. ასეა თუ ისე, შეფის ვიზიტი ჩაიშალა, ქართველებსაც მწარე გაკვეთილი გვერგო, დასკვნასაც უეჭველად გამოვიტანთ და უკეთესი მერმისის იმედით ჩვენს ორშაბათ-სამშაბათ-ოთხშაბათურ მოღვაწეობასაც შეუხლჩაუხრელად განვაგრძობთ.

ილია ბაბუნაშვილი

კალათბურთი

# ანგელოზებმა კონტრაქტი გამოგზავნეს

შვიდი-რვა წლის წინ, როცა თბილისში ასიოდე ახალგამომცხვარი კალათბურთელი ჩვენთვის ამ უცხო ხილის ანბანს ეუფლებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, ის დროც მოვა, ქართველ მოთამაშეს ამერიკელები თავისთან მიიწვევენო, მასხრად აიგდებდნენ. მაგრამ გამოხდა არც თუ დიდი ხანი და ჩვენდა გასახარად, სწორედ ასე მოხდა.



ორი კვირის წინ კალიფორნიიდან თბილისის „ივერიისა" და საქართველოს ნაკრების წევრის, 19 წლის ნიკა ბეჟუაშვილის სახელზე მოვიდა კონტრაქტი, რომელსაც ადრესატისგან ოდენ ხელის მოწერა და უკან გაგზავნაღა სჭირდება. რვაფურცლიან დოკუმენტში შავით-თეთრზე სწერია, რომ თბილისელი პიჩერი (მსროლელი) მიწვეულია აშშ-ის პროფესიული ლიგის ერთ-ერთი წამყვანი გუნდის „კალიფორნია ენჯელსის" (ანგელოზები) მოსამზადებელ ბანკში.

ნიკა მაისში გაემგზავრება შტატებიდან ორი ფეხის ნაბიჯზე, დომინიკის რესპუბლიკაში, სადაც ეს ბანკია მოწყობილი და სადაც ლამის მთელ მსოფლიოში შერჩეულ პერსპექტიულ მოთამაშეებს უყრიან თავს. თითქმის ერთთვიანი აკლიმატიზაციის შემდეგ ქართველი კალათბურთელი „ენჯელსის" ორმოცდაათამდე ახალწვეულთან ერთად იქაურ ჩემპიონატში ჩაებმება, ოთხ თვეს რომ გრძელდება და რომლის მიხედვითაც შეირჩევა 25 საუკეთესო, ვინც მომავალ სეზონში უშუალოდ გუნდში ჩაირიცხება.

„ივერიისა" და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ კაპანაძე: რა თქმა უნდა, ძალზე სასიხარულოა, რომ ჩვენი გუნდის საუკეთესო პიჩერი ამერიკელ სკაუტებს (ჩვენებურად, მზვერავებს) ისე მოეწონათ, რომ კალათბურთის სამშობლოში სათამაშოდ მიიწვიეს. საერთოდ, პიჩერი კალათბურთში წამყვანი მოთამაშეა, თამამად ისიც შეიძლება ითქვას, ნახევარი გუნდია, თუ მეტი არა. ნიკას მშვენიერი მონაცემები აქვს — სიმაღლე 178 სმ, წონა 74 კგ, ფიზიკურადაც ძლიერია და თამაშისას მშვენივრადაც აზროვნებს. ამერიკელებმა იგი პირველად შარშანწინ ნახეს მოსკოვის ოლქის ბალაშიხაში, სადაც „ივერია" რუსეთის ღია ჩემპიონატში გამოდიოდა. პირველივე მატჩის შემდეგ ჩემთან მოვიდა „ენჯელსის" სკაუტი ბობ პროტექსტერი, რომელიც სამი წელი მოსკოვში სწორედ პერსპექტიულ მოთამაშეთა შესარჩევად იყო მოვლინებული, ჩაიწერა ბეჟუაშვილის მონაცემები და საგაისოდ უფრო მაღალი რანგის სკაუტების მიერ გასასინჯად გამოძახებას შეგვპირდა. მართლაც, შარშან გაზაფხულზე მთავარმა სკაუტმა მარკ გარსიამ (ვისი სიტყვაც გადამწყვეტია ამ საკითხში) შეუმოწმა ნიკას მკლავის ძალა და სიზუსტე და ჩვენთვის სასიკეთო „განაჩენიც" გამოუტანა. სხვათა შორის, შარშანწინ სპეციალურმა ხელსაწყომ ბეჟუაშვილის ნასროლი ბურთის საკმაოდ მაღალი სიჩქარე (84 მილი-სთ) დააფიქსირა, რაც მისი ასაკის პიჩერისთვის ჩინებული შედეგია. უფრო ასაკოვან პროფესიონალებში კარგ მაჩვენებლად ითვლება 90-100-მილიანი ტყორცნა.

ბოლოს ისიც მინდა ვთქვა, რომ ამერიკელებს „ივერიის" მეორე პიჩერის 17 წლის სანდრო ისაკაძის (178 სმ, 75 კგ) თამაშიც მოეწონათ. შარშან კიევში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მას თვალი დაადგეს „ატლანტა ბრეივსის" სკაუტებმა. ივნისში „ივერია" სწორედ ატლანტაშია მიწვეული და თუკი სამგზავრო თანხას ვიშოვით და იქამდე ჩავაღწევთ, მაშინ ალბათ სანდროც მოაწერს ხელს კონტრაქტს.

გია ახალაძე

საწყლოსნო სახეობები

# ვინ შეიჭყიტება ქალთა აუზში?

ერთ დროს ირანელებმა გაევროპელება რომ დაიწყეს და იმათმა ქალებმა თანდათან ჩადრებიდანაც სულ უფრო თამამად გამოიჭყიტეს, საქართველოს მოცურავეებთან მეგობრული კავშირიც დაამყარეს. დაამყარეს და ერთი-ორჯერ ერთმანეთს გასაჯიბრებლადაც ესტუმრნენ. მაშინ, სამოციანი წლების მიწურულს აქ ჩამოსულებმა ერთი მშვენიერი გოგონაც ჩამოიყვანეს და ისიც ისე ხვანჭალებდა ჩვენს აუზში, რომ ვიფიქრე, ესენი ალბათ მალე ევროპელებზე მეტად გადასავლეთელდებიან-მეთქი. მაგრამ მერე ირანში ყველაფერი აირია და შეიცვალა. ირანელებმა თავიანთი შაჰი სამშობლოდან თავქუდმოგლეჯილი გააქციეს, თავიანთ ქალებს კი ისევ ჩადრები ჩამოაფარეს და მათმა მოცურავეებმა ჩვენთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს.

ერთი სიტყვით, ირანში რევოლუცია მოხდა.

იმ რევოლუციის მერე დედიმისის შვილი იყო ევროპელი ქალი და აბა ირანში უთავშლოდ გაევლო, ალბათ სახრჩობელა არ აცდებოდა.

არც ახლა აცდება.

ამიტომ მეგონა, ირანელ ქალებს ცურვა მთლად გადაავიწყდეს-მეთქი. თურმე შევმცდარვარ. ამას წინათ ერთი ფოტოსურათი ვნახე, ირანის რომელიღაც საცურაო აუზში გადაღებული. იმ სურათზე აღბეჭდილი იყო მოჭყუმპალავე ბავშვები და მათთან ერთად წყალში ჩასული მწვრთნელი ქალები, მაგრამ ჰოი საოცრებავ, ის ქალები ნახევრად შიშვლები კი არ იყვნენ, არამედ მთლად... ჩაცმულები.

თუმცა, ეს რაღა საოცრებაა? საოცრება ის იქნებოდა, ირანელი ქალები საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილნი რომ ყოფილიყვნენ.

ჰოდა, იმ სურათის ხილვის მერე ვიფიქრე, რომ ირანელი ქალები ისევ ცურავენ, ოღონდ ჩაცმულები, მაგრამ ის ვეღარ გამეგო, ასე შემოსილებს შეჯიბრებებზე რაღა ესაქმებათ, როცა წამის მეასედის მოსაგებად მოცურავეები თავ-ფეხს საგულდაგულოდ იპარსავენ-მეთქი.

ასეა თუ ისე, ირანში იმ რევოლუციის მერე დიდ საერთაშორისო ასპარეზობებს დაედო სათავე. ის შეჯიბრებები სწორედ ამ რევოლუციას ეძღვნება. ამ უკვე ტრადიციული ასპარეზობის პროგრამაში მრავალი სახეობაა: ჭიდაობაც, კრივიც, ფარიკაობაც, ცურვაც, წყალში ხტომაც...

ამ კომპლექსური შეჯიბრებებიდან წლეულს ზოგ სახეობაში ბრძოლები უკვე დასრულდა, ზოგი ახლაც მიმდინარეობს, ნაწილი კი მოგვიანებით გაიმართება.

წლევანდელ ძალთა გამოცდაში ჩვენი სპორტსმენებიც მიიწვიეს, მათ შორის სპორტის საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლებიც. ჩვენიანებმაც სიხარულით მიიღეს ეს მიწვევა, თეირანს ესტუმრნენ, იასპარეზეს და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ. დაბრუნდნენ და ჩვენც იქაური ამბების გასაგებად საქართველოს ცურვის კონფედერაციის გენერალურ მდივან ბატონ გივი ცქიტიშვილთან გავვარდით. არ იფიქროთ, ჩვენი მოცურავეებისგან, წყალში მხტომელებისგან და წყალბურთელებისგან ჩინ-მედლების ჩამოტანას ველოდით. აბა, რომელ წარმატებაზე შეიძლება საუბარი, როცა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლები ზამთრობით უწყლოდ არიან დარჩენილნი, როცა ამ დროს ჩვენი წყალბურთელები ფეხბურთს ან კალათბურთს თამაშობენ, როცა წყალში მხტომელები ბატუტზეღა ხტუნაობენ, როცა ჩვენი მოცურავეები ცურვის ნაცვლად დარბიან ან ყველანი დარბაზში ვარჯიშობენ.

რაღა დაგიმალოთ და, ბატონ გივი ცქიტიშვილისგან იმის გაგებაც გვაინტერესებდა, თუ ერთ ჭერქვეშ, უფრო სწორად, ერთ აუზში როგორ რიგდებიან ირანელი ქალები და ვაჟები.

მანამ ამას გავიგებდით, კონფედერაციაში მართლაც საკვირველი ამბავი გვითხრეს.

თეირანში გამოსულ უკლებლივ ყველა ჩვენს სპორტსმენს მედალი მოუპოვებია, თანაც ზოგიერთი მთლად „ოქრო-ვერცხლით" დახუნძლულა. უფრო საკვირველი ის არის, რომ ჩვენი სპორტსმენები ირანში იმად ჩასულან, ემანდ საქართველოში მთლად არ გამოვშრეთ და ცურვა სულ არ დაგვავიწყდესო, შინ თავიანთი პირადი რეკორდებითაც დაბრუნდნენ.

მართალია, ჩვენებურებს თეირანში მეტნაკლებად დიდი სპორტული მიღწევების მქონე ქვეყანათა წარმომადგენლებთან არ ჰქონიათ საქმე, მაგრამ მათი წარმატებები მაინც სასიამოვნოა.

სანამ ამ წარმატებებზე მოგახსენებდეთ, ჯერ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდები გავიცნოთ: აზერბაიჯანი, ბანგლადეში, თურქმენეთი, ირანი, საქართველო და ყაზახეთი. სპორტსმენები უმცროსთა და უფროსთა შეჯიბრებებში გამოდიოდნენ.

წყალბურთელთა ასპარეზობაში თბილისის დინამოელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს (აქ ყველას ყაზახეთის გუნდმა აჯობა, მეორე იყო მასპინძელთა ნაკრები).

მხტომელმა მიხეილ სხიაშვილმა ყველას აჯობა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში, მეორე იყო 1-მეტრიანი ტრამპლინიდან შეჯიბრებაში, ხოლო კოშკზე — მესამე. გიორგი ცანავამ კი კოშკზე „ვერცხლი" მოიპოვა, ტრამპლინებზე კი ბრინჯაოს მედლები. მათ ამ წარმატებებს უფროსთა შეჯიბრებებში მიაღწიეს.

17 წლამდე ასაკის მოცურავეთა შეჯიბრებებში ლაშა მწარიაშვილმა ყველას აჯობა 100 მეტრზე გულაღმა ასპარეზობაში (1.07), ხოლო 100-მეტრიან დისტანციაზე მესამე იყო (2.30.0).

იმავე ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში ყველაზე უმცროსმა, 14 წლის ზურაბ ხომასურიძემ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში არავის დაუთმო ოქროს მედალი, თანაც თავისი საუკეთესო შედეგიც (2.09) აჩვენა. მანვე III ადგილები დაიკავა 50, 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად 27,8 და 1.03, 2.19).

როგორც იტყვიან, მთლად გაუგიჟებია თავი 16 წლის ზურაბ ბერიძეს. ამ თავისუფალი სტილით მოცურავემ ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. აქედან ოთხი 17 წლამდე ასაკის სპორტსმენებში 100, 200, 400 და 1500 მეტრზე ცურვაში (შესაბამისად 57,7, 2.09,8, 4.46,0 და 19.10,0), ხოლო მეხუთე — უკვე უფროსთა 200-მეტრიან დისტანციაზე (2.10,0).

ბერიძეს თავისუფალი სტილით 50 მეტრზე ცურვაში მართალია, II ადგილი დაუკავებია (25,9), მაგრამ აქ თავისი საუკეთესო შედეგი უჩვენებია.

როგორც თბილისელი მოცურავეების მწვრთნელმა იგორ ლისეცკიმ გვითხრა, ჩვენს უწყლოდ დარჩენილ მოცურავეებს სისწრაფე შეუნარჩუნებიათ, სისწრაფის გამძლეობა კი დაუკარგავთ.

ამით აიხსნება მათი პირადი რეკორდები და შედარებით უკეთესი შედეგები მოკლე დისტანციებზე.

ერთი სიტყვით, ჩვენი საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლები კარგად კი მოქცეულან, მაგრამ მათ აუზში წყალს მაინც არავინ უსხამს.

— შეჯიბრება ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, გვეუბნება გივი ცქიტიშვილი. — საოცარი იყო ჩვენი მიღებაც. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ბევრ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მიცხოვრია, მაგრამ ირანელებმა ყველას ყველაფერში გადააჭარბეს. დიდებულზე დიდებულ სასტუმროში „შვედური მაგიდა" იყო და ჩვენმა დამშეულმა სპორტსმენებმა გაილაღეს...

კი მაგრამ, ჩვენმა ქალებმა რაღა ქნეს-მეთქი, ვკითხე თანამოსაუბრეს, იმან კი, ეს რომ გაიგო, შეიცხადა და ლამის სკამზე შეხტა. რას ამბობ, ფუი ეშმაკს, ქალებს კაცებთან ერთად აუზში ვინ შეუშვებსო. ქალები სხვა ქალაქში, თეირანიდან სადღაც ცხრა მთას იქით ასპარეზობდნენო.

იმ აუზში თურმე სპორტსმენ ქალთან ერთად მის მამაკაც მწვრთნელსაც კი არ შეუძლია შესვლა, გინდ ირანელები იყვნენ ისინი და გინდ უცხოელები. ამიტომაც ჩვენებს ქალთა შეჯიბრებებზე უარი უთქვამთ.

ასე რომ, მაინც ვერ გავიგე, როგორ ასპარეზობენ ირანელი მოცურავე ქალები. ისე კი, მართლაც საინტერესო იქნებოდა ირანელ ქალთა აუზში ცალი თვალით შეჭყეტა, მაგრამ...

ავთანდილ ჟუჟიშვილი

# დარჩი ჩვენთან, გამოიზამთრე...

როცა წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ თემურ ყაზარაშვილმა თავისი ქალიშვილის, ნანას სპორტულ სექციაში მიბარება გადაწყვიტა, ბევრი ალბათ არც უფიქრია: იმ ხანად ჩვენი წყალში მხტომელები დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ და ამ სახეობაში ვარჯიში პერსპექტიული ჩანდა, მით უმეტეს, რომ ნანას პირველი ნახტომებიც დამაიმედებელი ჩანდა.

აბა, რას იფიქრებდა მამა-შვილი, რომ ის დროც დადგებოდა, საქართველოში აუზები დაშრებოდა. მაგრამ ამან მათ ხელი მაინც ვერ ჩააქნევინა — ნანა ყაზარაშვილი ზოგჯერ მამის ხარჯითაც ხან რომელ ქვეყანას მიადგა სავარჯიშოდ თუ საასპარეზოდ, ხან რომელს. მადლობა ღმერთს, ასე კარდაკარ სიარული ორივეს უფასდებოდა: ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებას მეორე მოსდევდა. ნანა შარშანაც გაემგზავრა გერმანიაში, კიოლნის საერთაშორისო ტურნირზე და თავისი ოსტატობით სხვებთან ერთად მასპინძლებსაც მოაწონა თავი. ის მასპინძლები ფრიად კეთილი და გულმოწყალე ხალხი გამოდგა, ნანა, თავის მწვრთნელ სოსო ელბაქიძესთან ერთად, გერმანიაში დატოვეს სავარჯიშოდ, გამოსაზამთრებლად და მომავალი ასპარეზობებისთვის მოსამზადებლად. ვიცით, რა შავ დღეშიც ხართ საქართველოში და ცოტა ხანს აქ მოითქვით სულიო.

და აი, იქ დარჩენილმა ნანა ყაზარაშვილმა გერმანიის პირველობაზე სცადა ძალა და კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილიც დაიკავა.

შარშან 7 დეკემბერს ჩასული სტუმარი გერმანელმა მასპინძლებმა მარტამდე დაიტოვეს, მაგრამ, ეტყობა, სტუმრობის ვადას კიდევ გაუგრძელებენ, რათა ევროპის ჩემპიონატზე რაც შეიძლება უკეთ გამოვიდეს.

## რეგულარული ჩემპიონატი

შაბათი, 18 თებერვალი

ნიუ-ჯერსი ნეთსი — კლივლენდ კავალიერზი 75:82; ფილადელფია-76 — დენვერ ნაგითსი 95:89; შარლოტ პორნეთსი — დეტროიტ პისტონზი 110:88; მილუოკი ბაქსი — ჩიკაგო ბულზი 118:111; სან-ანტონიო სფურზი — ატლანტა პოქსი 111:97; იუტა ჯაზი — ბოსტონ სელტიქსი 108:98; გოლდენ სტეიტ ვორიორზი — სიეტლ სუპერსონიქსი 117:129; საკრამენტო კინგზი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 109:92

ორშაბათი, 20 თებერვალი

ატლანტა პოქსი — მაიამი პითი 96:103, შარლოტ პორნეთსი — ჩიკაგო ბულზი 115:104, დეტროიტ პისტონზი — საკრამენტო კინგზი 99:93, მილუოკი ბაქსი — ორლანდო მეჯიქი 101:152, სიეტლ სუპერსონიქსი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 105:108, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ფილადელფია-76 98:85

სამშაბათი, 21 თებერვალი

ატლანტა პოქსი — ჩიკაგო ბულზი 88:105, ნიუ იორკ ნიქსი — კლივლენდ კავალიერზი 91:99, ვაშინგტონ ბულითსი — დალას მავერიქსი 97:102, პიუსტონ როკიტსი — სან ანტონიო სფურზი 97:98, დენვერ ნაგითსი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 118:80, ფინიქს სანზი — ბოსტონ სელტიქსი 121:129, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 99:86

ალმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | თ | მ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 39 | 11 | 780 |
| ნიუ-იორკი | 32 | 17 | 653 |
| ბოსტონი | 20 | 30 | 400 |
| ნიუ-ჯერსი | 21 | 32 | 396 |
| მაიამი | 19 | 32 | 373 |
| ფილადელფია | 15 | 37 | 288 |
| ვაშინგტონი | 12 | 38 | 240 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| შარლოტი | 33 | 19 | 635 |
| კლივლენდი | 32 | 20 | 615 |
| ინდიანა | 30 | 20 | 600 |
| ჩიკაგო | 26 | 27 | 491 |
| ატლანტა | 24 | 28 | 462 |
| მილუოკი | 20 | 32 | 385 |
| დეტროიტი | 19 | 32 | 373 |

დასავლეთის კონფერენცია

| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 37 | 15 | 712 |
| სან-ანტონიო | 33 | 16 | 673 |
| პიუსტონი | 32 | 19 | 627 |
| დენვერი | 22 | 29 | 431 |
| დალასი | 20 | 29 | 408 |
| მინესოტა | 13 | 39 | 250 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| ფინიქსი | 40 | 12 | 769 |
| სიეტლი | 35 | 15 | 700 |
| ლ.ა. ლეიკერზი | 32 | 17 | 653 |
| საკრამენტო | 28 | 21 | 571 |
| პორტლენდი | 27 | 23 | 540 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 34 | 320 |
| ლ.ა. კლიპერზი | 9 | 43 | 173 |

# ნაკრების ებრაული ტურნე

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადების პირველ ეტაპს ისრაელში გამართავს. გუნდი 23 თებერვალს გაემგზავრა და აღთქმულ მიწაზე ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას მოაწყობს.

ნაკრების ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაუკავშირდა ისრაელის კალათბურთის ფედერაციას და ამ საქმეში დახმარება სთხოვა. ამ უკანასკნელმა კი ოთხი მატჩი დაუგეგმა ჩვენებს პირველი დივიზიონის კლუბებთან. ეს შეხვედრები 25, 26, 28 თებერვალს და 3 მარტს გაიმართება. ვარაუდობენ, რომ ყველაზე საინტერესო უკანასკნელი შეხვედრა იქნება, რადგან ნაკრებს ისრაელის ჩემპიონატის ლიდერთა ოთხეულის ერთ-ერთი წარმომადგენელი შეერკინება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენები იცხოვრებენ კიბუცის სპორტულ ბაზაზე და ყველა ხარჯსაც თავად დაფარავენ.

მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა თავიდან 18 კანდიდატი შეიგულა ისრაელში გასამგზავრებლად. ოთხი მათგანი — ვითელები ორმოცაძე და კოკოლიშვილი, აგრეთვე დინამოელები ცხვედიანი და ქარაბაკი ამ დროისთვის ფორმაში ვერ იყვნენ და ამჯერად ნაკრებს გამოაკლდნენ. დანარჩენებმა 13 თებერვლიდან თბილისში დაიწყეს ვარჯიში და ოთხშაბათს არჩევანი ამ 12 მოთამაშეზე შეჩერდა:

**უკანა ხაზი: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ირაკლი ვაშაკიძე (ორივე — „ვითა"), პაატა გურასპაული („თბილისი"), რევაზ ჩხეიძე („კაქტუსი").**

**ფორვარდები: გია სანაძე, მიხეილ კობეშავიძე, ზურაბ ჩუბინიძე, ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ყველა — „ვითა"), ვახტანგ ნაცვლიშვილი („კაქტუსი"), ირაკლი ბაქრაძე (უკლუბოდ).**

**ცენტრები: კახა შენგელია (მოსკოვის „დინამო"), დავით ბერძენიშვილი („კაქტუსი").**

ლიპარტელიანის თქმით, ისრაელში გასამართ მატჩებში მოგება თვითმიზანი არ იქნება. მთავარი იმ ტექნიკურ-ტაქტიკური ვარიანტების მოსინჯვა-დამუშავებაა, რომლებიც მწვრთნელებმა თეორიულად დასახეს. თურმე, ისრაელში ნაკრები გაარჩევს შეტევისა და დაცვის 3-4 ვარიანტს. ლიპარტელიანს ყველაზე მეტად ის აინტერესებს, როგორ შეეგუება ესა თუ ის მოთამაშე ნაკრების თამაშის სტილს.

ისრაელში ჩასვლის და ნაკრებში გამოსვლის სურვილი გამოუთქვამს ლიუბლიანის „ოლიმპიის" მოთამაშეს ვლადიმერ სტეფანიას. მაგრამ მას ერთხანს მოცდა მოუწევს: ნაკრებს სახსრები არა აქვს და სტეფანიას ხარჯებს ვერ დაფარავს. ამასობაში მოხერხდა დაკავშირება კიდევ ორ ლეგიონერთან — ორ დავითთან: „ბერძენ" უსტიაშვილთან და „გერმანელ" დაუშვილთან. ორივეს დასტური მიუცია ნაკრებში თამაშზე და თურმე, ხელმძღვანელობისგან შემდგომ ინსტრუქციებსაც ელიან.

ისრაელის შეკრება ალბათ არ იქნება ბოლო უცხოური ტურნე საკვალიფიკაციო მატჩების წინ. აპრილის დამდეგს ან შუა რიცხვებში დაგეგმილია შეკრება პოლანდიასა ან გერმანიაში. სწორედ აქ მოხდება ნაკრების საბოლოო დაკომპლექტება. ხოლო მაისში, ინგლისში გამგზავრების წინ, გუნდი თბილისში მოემზადება.

# ნუ გაგვიშვებთ ინგლისში

თხოვნას კი ჰგავს, თანაც ახირებულს, მაგრამ ეს უკვე გადაწყვეტილებაა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოულოდნელი და სამწუხარო გადაწყვეტილება. ლაპარაკია 1978 წელს დაბადებულთა ნაკრებზე, რომელსაც ინგლისის ქალაქ ბათში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში უნდა ესპარეზა.

ფედერაციამ ახლახან ასეთი წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს: „თქვენი 1994 წლის 22 ნოემბრის წერილზე გაცნობებთ, რომ 1978 წელს დაბადებული რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი ვერ შეძლებს გაუწიოს სათანადო წინააღმდეგობა ქ. ბათში (ინგლისში) მე-3 ევროპის ახალგაზრდობის თამაშებში მონაწილე გუნდებს, რის გამოც გუნდის წარმატებით გამოსვლა მეტად საეჭვოა.

აღნიშნულის გამო ფედერაციას არ მიაჩნია მიზანშეწონილად მიავლინოს ნაკრები გუნდი თამაშებზე". (სტილი დაცულია).

საზოგადოდ, მესამე ეაოდ-ში სპორტი ოთხი სათამაში სახეობაა შეტანილი: კალათბურთი, ბალახის ჰოკეი, ფრენბურთი, ხელბურთი. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან მხოლოდ რუსეთს, უკრაინას და საქართველოს მისცეს რომელიმე მათგანში გუნდის გამოყვანის უფლება. რაც შეეხება კალათბურთს: ამ ტურნირში მონაწილეობა 30 ქვეყანას სურდა. სეოკ-ის წყალობით მოხერხდა საქართველოს ჩართვა 8 მონაწილე გუნდში; აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში ევროპის ჩემპიონი ბელარუსი განზე დარჩა, ესტონეთი და ლატვია კი სარეზერვო გუნდებად გაამწესეს.

აი, ასეთი ნაწვალები საქმე ჩაიყარა ერთბაშად წყალში. ფედერაციის პოზიცია მით უფრო საკვირველია, რომ ნაკრების ინგლისში გამგზავრების ყველა ხარჯს (დაწყებული შემოსვით, დამთავრებული ინგლისში კვებით) სეოკ-ი ფარავდა. ფედერაციას არაფერი ევალებოდა გუნდის მომზადების გარდა. ამისთვის მას 6 თვე ჰქონდა, მაგრამ წაგების შიშით უარი თქვა მონაწილეობაზე.

სხვათა შორის, მეორე ეაოდ-ში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მონაწილეობდა და პორტუგალიასთან 1:7, ხოლო ისლანდიასთან 3:8 დამარცხდა. სამაგიეროდ, იმ ფეხბურთელებმა საკმაო გამოცდილება შეიძინეს და ზოგი მათგანი დღეს პირველი ჯგუფის გუნდებში არცთუ ურიგოდ გამოდის. დავუშვათ და, ქართველ კალათბურთელებსაც ყველა მატჩი კატასტროფული ანგარიშით წაეგოთ. განა ამის შიშით ნაკრების შეჯიბრებაზე გაუმგზავრებლობა იქნება? ამაზე კარგი სკოლა 1978 წელს დაბადებულთათვის სხვა რა შეიძლება იყოს?!. მალე ამ ასაკს ევროპის ჩემპიონატი მოუწევს, მაშინ წურც იქ გავუშვებთ (თუნდაც ფულს სხვა გვიხდიდის) და ბარემ მათ, ვინც დღეს 16-17 წლისაა, საერთოდ დავანებებინოთ კალათბურთისთვის თავი!

მიხეილ დადიანი

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

მე-13 ტური. 15-16 თებერვალი

A ჯგუფი. პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) 79:66, ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) 87:78, ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — სკავოლინი (პეზარო, იტალია) 69:88, რეალ-მადრიდი (ესპანეთი) — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) 69:52

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 13 | 9 | 4 | 991-916 | 22 |
| რეალ-მადრიდი | 13 | 9 | 4 | 986-921 | 22 |
| სკავოლინი | 13 | 9 | 4 | 1069-1024 | 22 |
| ცსკა | 13 | 8 | 5 | 1115-1074 | 21 |
| მაკაბი | 13 | 7 | 6 | 1027-1029 | 20 |
| პაოკ | 13 | 5 | 8 | 953-967 | 18 |
| ოლიმპია | 13 | 3 | 10 | 941-1014 | 16 |
| ბენფიკა | 13 | 2 | 11 | 895-1029 | 15 |

ბოლო ტური. 22 თებერვალი. პაოკ — სკავოლინი 84:79, ოლიმპია — ცსკა 85:88. 23 თებერვალი. რეალ-მადრიდი — პანათინაიკოსი, მაკაბი — ბენფიკა

B ჯგუფი. ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — ციბონა (ზაგრები, ხორვატია) 74:90, ოლიმპიაკოსი (ათენი, საბერძნეთი) — ბაკლერი (ბოლონია, იტალია) 89:64, ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 81:76, ლიმოჟი (საფრანგეთი) — ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) 76:67

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ლიმოჟი | 13 | 9 | 4 | 920-864 | 22 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 9 | 4 | 1022-879 | 22 |
| ეფეს პილზენი | 13 | 8 | 5 | 841-833 | 21 |
| ბაკლერი | 13 | 7 | 6 | 951-963 | 20 |
| ბარსელონა | 13 | 7 | 6 | 1016-1015 | 20 |
| ციბონა | 13 | 7 | 6 | 970-1001 | 20 |
| ბაიერი | 13 | 4 | 9 | 962-1037 | 17 |
| ხუვენტუდი | 13 | 1 | 12 | 863-993 | 14 |

ბოლო ტურში 22-23 თებერვალს თამაშობენ: ციბონა — ეფეს პილზენი, ლიმოჟი — ბაიერი, ხუვენტუდი — ბაკლერი, ბარსელონა — ოლიმპიაკოსი.

ჯგუფებში პირველ ოთხ ადგილზე გასულები მეოთხედფინალში გადიან.

## ევროპის საკლუბო თასი

ნახევარფინალი

14, 21 თებერვალი

ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ანტიბი (საფრანგეთი) 88:95, 99:93

ირაკლისი (სალონიკი, საბერძნეთი) — ტაუვრესი (ვიტორია, ესპანეთი) 79:78, 74:79. მესამე, გადამწყვეტი თამაში გაიმართა 23 თებერვალს

ფინალი გაიმართება 14 მარტს სტამბოლში

## კორაჩის თასი

ნახევარფინალი

16, 22 თებერვალი

პო-ორტეზი (საფრანგეთი) — სტეფანელი (მილანი, იტალია) 76:82, 85:90

ალბა-ბერლინი (გერმანია) — კასერესი (ესპანეთი) 93:70, 74:72

## იტალიის ჩემპიონატი

24-ე ტური. 18-19 თებერვალი

ბირექსი — ბაკლერი 77:90; მეტასისტემი — სკავოლინი 75:85; კაჯივა — ილიკაფი 117:98; ფილოდორო — ფიზერი 92:90; სტეფანელი — მადიგანი 78:76; ბენეტონი — ტეორემატური 98:84; პანაპესკა — კომერსონი 67:82

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ბაკლერი | 24 | 18 | 6 | 36 |
| ფილოდორო | 24 | 17 | 7 | 34 |
| სკავოლინი | 24 | 17 | 7 | 34 |
| კაჯივა | 24 | 16 | 8 | 32 |
| სტეფანელი | 24 | 16 | 8 | 32 |
| ბირექსი | 24 | 15 | 9 | 30 |
| ბენეტონი | 24 | 14 | 10 | 28 |
| ტეორემატური | 24 | 14 | 10 | 28 |
| კომერსონი | 24 | 11 | 13 | 22 |
| ფიზერი | 24 | 9 | 15 | 18 |
| მადიგანი | 24 | 8 | 16 | 16 |
| ილიკაფი | 24 | 8 | 16 | 16 |
| პანაპესკა | 24 | 3 | 21 | 6 |
| მეტასისტემი | 24 | 2 | 22 | 4 |

ბომბარდირთა შორის ლიდერობს არიან კომაზეცი (კაჯივა) — 833 ქულა

# არავის გინდათ ბაქრაძე?

ირაკლი ბაქრაძე საბერძნეთიდან დაბრუნებისთანავე ჩაერთო ჩვენი ქვეყნის საკალათბურთო ცხოვრებაში. ნაკრების მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელინმა უყოყმანოდ მიიწვია გუნდში და ექს-ლეგიონერიც უმალვე საქმეს შეუდგა. რა თქმა უნდა, ძნელია, მხოლოდ წვრთნის ნახვით შეაფასო სამი წლის უნახავი კალათბურთელის მომზადების დონე, მაგრამ ერთ რამეს უეჭველად შეამჩნევ: ბაქრაძე კლავინდებურად ძალზე ძლიერია იმ კომპონენტში, რომელშიც ოდითგანვე მოვიკოჭლებდით ქართველები — დაცვაში. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების ორმხრივი თამაშისას, რომელ მეტოქესაც აედევნა, ვერცერთმა ვერ იხეირა.

**ირაკლი ბაქრაძე**

**დაიბადა 1971 წლის 16 აგვისტოს თბილისში**
**სიმაღლე 192 სმ, წონა 96 კგ**
**კლუბები: დინამო (თბილისი), არისი (სალონიკი), ვაო (სალონიკი)**
**საქართველოს 1992 წლის ჩემპიონი**
**ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი**

— ხომ არ გადაეჩვიეთ ქართველებთან თამაშს?

— არც უმაგისობაა. ოდნავ მიჭირს შეჩვევა. ნაკრების წევრთა უმრავლესობა ჩემი ყოფილი თანაგუნდელია, მაგრამ ამ სამი წლის მანძილზე მე სხვა კალათბურთს ვთამაშობდი, ისინი — სხვას. მათთან საერთო ენის ხელახლა გამონახვისთვის ცოტა დრო მჭირდება. შეთამაშება არ უნდა გაგვიჭირდეს.

— საქართველოში დაბრუნება როდის გადაწყვიტეთ?

— შარშან ზაფხულს ვაპირებდი დაბრუნებას, მაგრამ ცოტა ხნით შევყოვნდი. წლეულს, სეზონის ნახევარი რომ გავიდა, საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე. შევიტყვე, რომ ჩვენი კალათბურთი კარგ დონეზეა და ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის. სიტუაციაც ნორმალურია. ამასობაში ეროვნულ ნაკრებში გამოსვლაც შემომთავაზეს და მე და ჩემს ოჯახს დიდხანს აღარ გვიფიქრია.

— თქვენი „ბერძნული კარიერა" სალონიკის „არისით" დაიწყო...

— თავდაპირველად „არისში" მივედი. ეს იყო 1992 წელს. ამ კლუბში ერთ სეზონს დავრჩი. ვირიცხებოდი ძირითად გუნდში, მაგრამ ოფიციალური მატჩი არ მითამაშია. პერიოდულად ვხვდებოდი ათ კაცში და ეს დიდ მიღწევად მიმაჩნდა. „არისი" მეტად ძლიერი იყო და 1993 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოიგო.

— გუნდში თამაშობენ NBA-დან მოსული

როი თარფლი და ტომ ანდერსონი, ბერძენი ვარსკვლავი იანკისი, იუგოსლაველი სუბოტიჩი. საბერძნეთის დღევანდელი ნაკრების წევრები და „არისის" ხუთეულის მოთამაშეები ლიდირიდისი და ანგელიდისი მაშინ სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. კონკურენცია მკაცრზე უფრო უარესი იყო და მისი გაძლება თითქმის შეუძლებელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, „არისში" უამრავი რამ ვისწავლე, გავძლიერდი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა — იმგვარი ინტენსიური და ნაყოფიერი ვარჯიშები უკვალოდ არ ქრება. 1993 წლის სეზონის ბოლოს საზარდულის ტრავმა მივიღე. ადრე ეს ადგილი არასდროს დამშავებოდა და მეგონა, ადვილად მოვრჩებოდი. შევცდი, ბოლომდე არ ვიმკურნალე და ტრავმა ლამის ქრონიკულად მექცა. ტკივილი ხან შემომიტევდა, ხან გამივლიდა. ასე გრძელდებოდა ხუთი თვე...

ვატყობდი, ფორმას ვკარგავდი. მაშინ გადავწყვიტე უფრო პატარა და დაბალი ლიგის კლუბში წასვლა. პირველ რიგში ბევრი თამაში და პრაქტიკის მიღება მსურდა. შევარჩიე სალონიკის „ვაო", რომელიც მესამე ლიგაში ასპარეზობდა. აქ გამოსვლით კმაყოფილი ვარ: მოედანზე დიდხანს ვიყავი და მთელი ძალით ავთამაშდი. შარშან მესამედან მეორე ლიგაში გადავედით. წლეულს „ვაო" უფრო გაძლიერდა, რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი იყიდა და როცა მოვდიოდი, პირველ ადგილზე იყო.

— საბერძნეთში კიდევ სამი ქართველი ლეგიონერია...

— სამივე სალონიკში თამაშობს. დათო უსტიაშვილი „ფილიპოსშია", რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე „მენტის" ღირსებას იცავენ. უსტიაშვილი კარგ ფორმაშია, იგი „ფილიპოსის" ლიდერია — ისეთი, ღირსეული შემცვლელი რომ არ ჰყავს. ფაქტიურად, ორმოც წუთს მოედანზეა და, პირდაპირი მნიშვნელობით, ერთ წუთს თუ ასვენებენ სულის მოსათქმელად. მის გუნდს პირველ ლიგაში გადასვლის ჩინებული შანსი აქვს.

„მენტიც" მეორე ლიგაში ასპარეზობს. გოგობერიშვილი სტაბილურად გამოდის, ჯაფარიძემ მოირჩინა მტკივანი ფეხი და ალბათ მალე გააუმჯობესებს თამაშს. ეს ბიჭები გაცილებით უკეთ იქნებოდნენ მზად, კლუბში ნორმალური სიტუაცია რომ იყოს — სეზონის დაწყებიდან ხუთი მწვრთნელი გამოცვალეს.

— საქართველოში დაბრუნებული რომელ კლუბში აპირებთ თამაშს?

— სამი კლუბი მომწონს: „დინამო", სადაც გავიზარდე, „კაქტუსი" და „ვითა". ჯერჯერობით მხოლოდ „ვითამ" მიმიწვია. ამ წინადადებაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ. როცა ნაკრები ისრაელიდან დაბრუნდება, ყველაფერს ავწონ-დავწონი და საბოლოო გადაწყვეტილებას ისე მივიღებ.

მერაბ რატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბებერმა „ლომმა“ ისევ აიწყვიტა

1991 წლის მეორე მსოფლიო თასის შემდეგ შოტლანდიის სათვალავში არარაფინ აკლდებოდა: გუნდი საფუძვლიანად გადახალისდა და მოგება ნახალწლევსლა დაიწყო. იმასაც ამბობენ, „ბრიტანელი ლომების“ მცველი და კაპიტანი გევინ ჰეისთინგსი მობერდა და მთლად გაუვარგისდაო.

შოტლანდიამ პარიზში წინა ჯერზე 1969 წელს გაიმარჯვა. მაშინ „პარკ დე პრენსზე“ დიდი ალმშენებლობა წამოეწყოთ და საერთაშორისო მატჩები „კოლომბის“ სტადიონზე იმართებოდა. რაც შეეხებათ ფრანგებს, 1980-იანი წლებიდან მოკიდებული შარშანდლამდე ვერც მათ მოუგოთ შოტლანდიური რაგბის ბინაზე, ედინბურგის გარეუბან მარიფილდში.

შარშან, ბოლო ტურში, ფრანგებმა ნავსი, როგორც იყო, გატეხეს, თუმცაკი სატურნირო თვალსაზრისით ველარაფრით იხეირეს — ჩემპიონობა ინგლისისა და უელსის მატჩში თამაშდებოდა. „მამლებს“ წელსაც იგივე შეემთხვათ: მართალია, სტუმრად ზელანდიის მძლეველი გუნდი ხუთი ერის პირველობის ფავორიტად მიიწნეოდა, მაგრამ უკვე ორჯერ დამარცხდა, რის გამოც საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემპიონი ბოლო ტურში, ინგლის — შოტლანდიის მატჩში გამოვლინდება. ასე ბოლოს 1990 წელს მომხდარა.

სქოთების იმდღევანდელ შემადგენლობას ნაკლებად აწუხებდა „პარკ დე პრენსულის“ კომპლექსი, ვინაიდან მანამდე ოდენ ხუთ მორაგბეს ეთამაშა ამ სტადიონზე. მიუხედავად ამისა, თამაში სტუმრებისათვის კატასტროფულად დაიწყო: მე-3 წუთზე ფრანგებმა მარაოში კაცი გამოტოვეს და ქრესტომათიული ლელო გაიტანეს.

მერე მატჩის ბოლომდე დიდებული და აზრიანი ბურთაობა გაჩაღდა. მასპინძლები იმითი არიან ცნობილი, რომ მოედნის ნებისმიერი უბნიდან წამოიწყებენ ხოლმე იერიშებს. ამჯერად ფრანგებს არც სტუმრები დარჩენილან ვალში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჰეისთინგსი, ლოგანი, თაუნსენდი, ვისაც ზაფხული ავსტრალიაში გაუტარებია, და ჩალმერსი. ეს უკანასკნელი ხორბა ფრანგ მორკინალებს უშიშრადაც ბოჭავდა.

შოტლანდიელებმა პირველი ნახევრის შუაწელის სულ რაღაც ორ წუთში ერთბამად 10 ქულა მოიმკეს. ჯერ იყო და ჰეისთინგსმა ძველი დრო გაიხსენა და საჯარიმო თავისი ნახევრიდან, 55 მეტრიდან შეაგდო. განახლდა თამაში და ჰეისთინგსმა და თაუნსენდმა თავიანთი 22-დან კონტრიერიში წამოიწყეს, რომელიც სამგზისი გადაჯგუფების შემდეგ თაუნსენდის მიერ კართან გატანილი ლელოთი დასრულდა. ამ ეპიზოდში ფრანგები იმდენად ჩამორჩნენ ბურთს, რომ სელამ, ვინაც ამ დღეს 105-ე კაპი მიითვალა, სქოთებს აშკარა თამაშგარედან კინაღამ ჩაუჭრა გადაცემა.

ასე, თამაშ-თამაშ გუნდებმა თამაშის ბოლო მეოთხედამდე მიაღწიეს, სქოთები კი კვლავაც ხუთი ქულით იგებდნენ. 63-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა: კაბანის ალაგების შემდეგ აკოსებერიმ მოკლე ფრთაზე შეატევინა სადურნის, რომელიც ლოგანსა და ჰეისთინგსს გაუსხლტა. 70-ე წუთზე ფრანგების მცველის იერიშში მორიგი ჩამატების შემდეგ ჯარდინს გაექცა ფრანგთა კაპიტანი სანტანდრე — ამან ამ დღეს ორი ლელო გაიტანა. არადა, წინა ტურში, თვიქნემში, სანტანდრეს ინგლისელმა ტონი ანდერვუდმა გაუტანა ორი ლელო.

ლაკრუამ მესამედაც გააფუჭა გარდასახვა 21:16. აქ სქოთებმა იშვიათი ფხა გამოიჩინეს: 77-ე წუთზე მეტოქის 22-ში საჯარიმო რომ დაიმსახურეს, კარში კი არ დაარტყეს, არამედ ჭკვიანურად გაითამაშეს მორისონმა, ჩალმერსმა და თაუნსენდმა. ბოლოს ჰეისთინგსმა ფრანგთა განლაგებაში ბზარი შენიშნა და 30 მეტრის განავარდებით ლელო კართან გაიტანა. ანგარიში გათანაბრდა 21:21, მერე კი ჰეისთინგსს აღარ შეემთხვა მეორე მსოფლიო თასის ნახევარფინალისეული მარცხი, როცა ინგლისელებს უიოლესი საჯარიმო ვერ გაუტანა. გარდასახვის წყალობით სტუმრები დაწინაურდნენ, თამაშის ბოლო წუთებზეც ერთობ ვაჟკაცურად შეინარჩუნეს მათთვის სასურველი ანგარიში, შხაპის მიღების შემდეგ კი კვლავ მოედანს დაუბრუნდნენ და ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ ქომაგებთან ლხენას მიეცნენ.

| |
|---|
| ხუთი ერის პირველობის III ტური. 18 თებერვალი |
| **საფრანგეთი 21 (5) — შოტლანდია 23 (13)** |
| საფრანგეთი: სადურნი; ბერნასალი, სელა, ლაკრუა, სანტანდრე; დეილო, აკოსებერი; ხენი, გონზალესი, კალიფანო; ბრუზე, რუმა; ბენაზი, კაბანი, ბენეტონი. — 3ლ: სანტანდრე (5:0, 21:16), სადურნი (16:16); ს: ლაკრუა (8:13); ა: დეილო (11:13) |
| შოტლანდია: გ. ჰეისთინგსი; ჯოინერი, თაუნსენდი, ჯარდინი, ლოგანი; ჩალმერსი, რედფასი; რაითი, მილნი, პოესორნი; ქემბელი, ქრონინი (ვიარი); მორისონი, პიტერსი, ვეინრაითი. — 2ლ: თაუნსენდი (5:8), ჰეისთინგსი (21:21); 2გ (5:10, 21:23) და 3ს (5:3, 5:13, 11:16): ჰეისთინგსი |
| მსაჯი მაქქიუ (ირლანდია) |
| **უელსი 9 (3) — ინგლისი 23 (10)** |
| უელსი: ქლემენთი (ბექი); ი. ევანსი, მ. თეილორი, ნ. დევისი, ვოქერი (მუნი); ნ. ჯენქინსი, რ. ჯოუნზი; გრიფითსი, გ. ჯენქინსი, ჯ. დევისი (გაამევეს); დ. ჯოუნზი, პლუელინი; ჰ. თეილორი (ვილიამს-ჯოუნზი), ქოლინზი, ე. ლუისი. — 3ს: ნ. ჯენქინსი (3:0, 6:10, 9:18) |
| ინგლისი: ქეთი; თ. ანდერვუდი, ქარლინგი, გასქოთი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, ბრაქენი; ლენარდი, მური, უბოგუ; ბეიფილდი, ჯონსონი; როდბერი, ქლარქი, რიჩარდსი. — 3ლ: უბოგუ (3:5), რ. ანდერვუდი (6:18, 9:23); გ (3:7) და 2ს (3:10, 6:13): ენდრიუ |
| მსაჯი მენე (საფრანგეთი) |

ტრავმები მოშუშებოდათ კაპიტანსა და გარემარბ ევანსს, მულატ გარემარბ ვოქერს, შუამარბ დევისს, ფრთა თეილორს და შემკვრელ ევანსს. შემადგენლობის გადალაგებით გართულ უფროსობას ერთობ ბრიყვულად შეედგინა სათადარიგო ექვსეული: მასში ორად-ორი უკანაზელი და ოთხი მორკინალი შეეყვანა, რაც გაუგონარი ამბავი რომაა, მალევე გამოჩნდა — დაშავებული მცველი მცველითვე შეცვალეს, გარემარბობა კი სათადარიგო 9 ნომერს დააკისრეს.

ინგლისის შერკინება მთელი თამაშის მანძილზე მძლავრობდა. ჯენქისმა თავიდან კი გახსნა ანგარიში, მაგრამ პირველი მეოთხედის ბოლოს სტუმრებმა დერეფნიდან ძალისმიერად შეუტიეს, რაც წარმომობით ნიგერიელი ბურჯის — ვიქტორ უბოგუს პირველი ლელოთი დასრულდა. შესვენებამდე ენდრიუმ ერთი საჯარიმოც შეაგდო, მერე ჯენქინსმა ბურთი ძელს მოახვედრა, კაპიტანი ევანსი კი ინგლისის ლელოსთან დაიჭირეს.

არც მერე შეცვლილა რამე: ჯენქინსის საჯარიმოებს ინგლისი ლელოებით პასუხობდა. ამ ამბავში რომ იყვნენ, ისტორიული რამ მოხდა: 64-ე წუთზე თანამსაჯმა რობინმა მენესთან დააბეზღა მასპინძელთა ბურჯი ჯონ დევისი, მიწაზე წოლილი მეტოქე განზრახ დაწიხლაო. მსაჯმაც გამოსაცდელად შემოღებული წითელი ბარათი დაამრო და ბურჯი მოედნიდან მიაბრძანა. იმავ საღამოს დევისის საქმე ტრიბუნალმა განიხილა და 60 დღით აუკრძალა რაგბის თამაში.

უელსის შერკინება შვიდი კაცის ამარა დარჩა. ჭაბუკთა და ზოგიერთი ქვეყნის საშინაო მატჩებისგან განსხვავებით ტესტრაგბში ჯერაც არ შეიძლება გაძევებული პირველსაზელის შეცვლა (?!) ჰოდა, ბურჯობა რომ ვერავინ იკისრა, კაპიტანი ეთათბირა თავის მორკინალებს და თეილორი დაიყაბულა, ტრავმა რომ მოემიზეზებინა და ბურჯის შემოსაშვებად მოედნიდან გასვლას დათანხმებოდა. თეილორმა გალიმებულმა დატოვა ასპარეზი, აქაოდა როდემდე უნდა იმოქმედოს შეცვლის ამგვარმა ფარისეველურმა წესმაო.

ინგლისმა უმალ სცადა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება: ზედიზედ სამჯერ მეტოქის შერკინებას მისსავე ლელოში შეთრევა დაუპირა, მაგრამ მასპინძლები ვაჟკაცურად გაუძალიანდნენ. ბოლოს, თამაშისათვის წარმატებულ დროში, რორი ანდერვუდმა ამ მატჩში მეორე, სულ კი — ნაკრებში 42-ე ლელო გაიტანა. ინგლისმა მესამე თამაშიც მოიგო და ახლა 1990-იანი წლების მესამე „დიდ სლემს“ უმიზნებს, უელსმა კი უკვე მესამე თამაშია, რაც ლელო ვერ გაიტანა და ოდენ ჯენქინსის საჯარიმოებს სჯერდება: შემთხვევითი როდია, რომ უელსელებმა სამივე თამაში — სამხრეთ აფრიკასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან წააგეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 74:27 | 9-2 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 49:34 | 4-5 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 52:63 | 6-5 | 2 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 21:46 | 3-5 | 0 |
| უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | 18:44 | 0-5 | 0 |

ბოლოსწინა ტური. 4 მარტს: ირლანდია — საფრანგეთი; შოტლანდია — უელსი

ბოლო ტური. 18 მარტს: უელსი — ირლანდია; ინგლისი — შოტლანდია



ბებერი „ლომი“ გევინ ჰეისთინგსი

ზაზა ფხაკაძე

# შვიდი ბობოლა სპონსორი და დიდი გადაფრენა



ქეიფთაუნის „ნიულენდსზე“ (აფრიკანერულად „ნუველანდსზე“) 25 მაისს ავსტრალია — სამხრეთი აფრიკის თამაშით მესამე მსოფლიო თასი გაიხსნება

RUGBY WORLD CUP

მესამე მსოფლიო თასამდე სამი თვეღა რჩება. თუ 1987 წლის პირველი გათამაშების მოგება ერთი მილიონი გირვანქა იყო, 1991 წლის მეორე თასისა კი — 5 მილიონი, წელს სამხრეთაფრიკელი მასპინძლები 20 მილიონ გირვანქა სარფს ელიან. ორგანიზატორს — „რაგბი ველდ ქაფ ლიმითედს“, რომელიც რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მიერ მსოფლიო თასების მოსაწყობად შექმნილი ფირმაა, იმთავითვე შვიდი მძლავრი სპონსორის მიზიდვა განუზრახავს. ექვსი მათგანი უკვე ცნობილია. ესენი არიან შოტლანიური ვისკის მხდელი „ფეიმოს გრაუსი“, სამხრეთაფრიკული ავიაკომპანია „საუს ეფრიქან ეარვეიზ“, „კოკა-კოლა“, ლუდის კონცერნი „ჰაინეკენი“, მსოფლიოს უდიდესი საგადამხდელო სისტემა „ვიიზა“ და „ტოიოტა“. მეშვიდეს ვინაობასაც მალე გამოაქვეყნებენ.

ოქტომბერში, აზიის ზონის შესარჩევი ტურნირის შემდეგ 16-ვე ფინალისტის ვინაობა გაირკვა. მათი მენეჯერები ნოემბრისა და დეკემბრის შესაყარზე სამხრეთ აფრიკაში ერთი კვირით დაპატიჟეს, ყველაფერი დაათვალიერებინეს და შეპირდნენ, თქვენს ნებისმიერ აზირებას გავითვალისწინებთო.

ერთი ამათგანი მხოლოდ სამხრეთი აფრიკისთვის ყოფილა ნიშანდობლივი. ესაა ქვეყნის მრავალფეროვანი რელიეფი. თამაშები 9 ქალაქში უნდა გაიმართოს. ოთხი მათგანი: ქეიფთაუნი, პორტ-ელიზაბეთი, ისთ-ლანდონი და დურბანი ზღვის კიდეზე მდებარეობს; საუნივერსიტეტო სტელენბოსხიც დაბლობზეა; სამაგიეროდ, ოთხი ასპარეზი: იოჰანესბურგი, რიუსტენბურგი, პრეტორია და ბლუმფონტეინი ე.წ. ველდტის ზეგანზეა გაშენებული და ზღვის დონიდან შესაბამისად 1800, 1500, 1450 და 1300 მეტრზეა, რაც მონაწილეთა აკლიმატიზაციას ერთობ აძირებს.

პირველ ეტაპზე ორი ქვეჯგუფი სანაპიროზე იასპარეზებს, ორიც — მთიანეთში. კვირანახევრის განმავლობაში „ა“ ოთხეული (ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა, კანადა, რუმინეთი) კონცხის პროვინციაში დაბანაკდება (კანადა სამივე თამაშს პორტ-ელიზაბეთში გამართავს), „ბ“ ოთხეული (ინგლისი, სამოა, არგენტინა, იტალია) კი — ნატალსა და კონცხის საზღვარზე (ამათგან პატივდებულია ინგლისი, ვინაც მეტოქეებს დურბანში უნდა დაუხვდეს). „გ“ ოთხეული (ახალი ზელანდია, ირლანდია, უელსი, იაპონია) ტრანსვაალსა და ნარინჯში ითამაშებს (იაპონია ბლუმფონტეინში დაფუძნდება), „დ“ ოთხეული (შოტლანდია, საფრანგეთი, ტონგა, სპილოს ძვლის ნაპირი) კი — ჩრდილოეთ ტრანსვაალში (ზანგური აფრიკის პირველი მერცხლები დროებით რიუსტენბურგის მკვიდრებად იქცევიან).

აღრევა და დიდი მიმოსვლა ბოლო სამი ვიქენდისთვისაა დანიშნული. მეოთხედფინალში (10 და 11 ივნისს) „ა“ ჯგუფელები „ბ“ ჯგუფელებს ეთამაშებიან, „გ“ ჯგუფელები — „დ“ ჯგუფელებს. თუ „ბ“ ჯგუფის გამარჯვებული ზღვის დონეზე რჩება (ქეიფთაუნში გადაბარგდება), ხოლო „გ“ ჯგუფის ლიდერი ზეგანზე ოდნავ დაბლა დაეშვება (პრეტორიამდე), „ა“ ჯგუფის მოგებულს იოჰანესბურგში მოუწევს ასვლა, „დ“ ჯგუფში პირველ ადგილზე გასულს კი — ზეგანიდან ზღვის დონემდე (დურბანამდე) დაშვება. მერე ორივე ნახევარფინალი (17 და 18 ივნისს) სანაპიროზე გაიმართება, მცირე და დიდი ფინალები (22 და 24 ივნისს) კი — მაღალმთიანეთში.




გუნდები თანაბარ პირობებში რომ ამყოფონ, მასპინძლებს ორიგინალური გამოსავალი მოუძებნიათ: რვავე მეოთხედფინალისტს იოჰანესბურგში შეკრებენ და თამაშის წინადღითღა გადააფრენენ შეხვედრის ადგილას. ამით თურმე მოხერხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე ფინალისტი მთიანეთის გაუხშოებულ ატმოსფეროს შეჩვეული იყოს.

## რუსეთი ქუქის კუნძულების ტოლი და სწორი ყოფილა

წელს პროფესიონალებიც მართავენ თავიანთ მსოფლიო თასს. შეჯიბრება რაგბიდან ლიგის გამოყოფის 100 წლისთავს ეძღვნება და საიუბილეოდაა მონათლული.

ტურნირი ოქტომბერში ინგლისში მოეწყობა. თასს 10 გუნდი გაითამაშებს. „ა“ ქვეჯგუფში ითამაშებენ ავსტრალია (ამჟამინდელი ჩემპიონი), ინგლისი, სამხრეთი აფრიკა და ფიჯი, „ბ“ ქვეჯგუფში — ახალი ზელანდია, პაპუასეთი და ტონგა, „გ“ ქვეჯგუფში კი — უელსი, საფრანგეთი და სამოა. ოთხგუნდა ჯგუფიდან ნახევარფინალში ორი გუნდი გავა, სამგუნდიანებიდან — თითო. შეჯიბრება 8 ოქტომბერს „უემბლიზე“ გაიხსნება ავსტრალია — ინგლისის მატჩით. 28 ოქტომბერს იქვე გაიმართება ფინალი, რომელშიც ალბათ იგივე გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. „უემბლის“ გარდა თამაშები გაიმართება ოთხ საფეხბურთო, ექვს სალიგისრაგბო და ქალაქ გეითსჰედის საზოგადო სტადიონებზე. თასის პარალელურად გათამაშდება სანუგეშო ჯილდოც. მისთვის ერთურთს ოთხი ბოგანო: აშშ, მოლდოვა, რუსეთი და ქუქის კუნძულები შეეჯიბრება. ეს უკანასკნელი კუნძულები ახალი ზელანდიის სამფლობელოა წყნარ ოკეანეში.

15 თებერვალს ინგლისმა გეითსჰედში „ევროპის ჩემპიონატის“ თამაში 18:16 მოუგო საფრანგეთს. მასპინძლებს ცხრა ძირითადი მოთამაშე აკლდათ. ისინი თასის მეოთხე წრის გადათამაშებაში მონაწილეობდნენ. 11 თებერვალს თასის ზედიზედ შვიდგზის მფლობელმა „ვიგანმა“ შინ ვერ მოუგო „სენთ-ჰელენსს“ 16:16, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ სტუმრად 40:24 აჯობა.

# რეკორდთა წვიმა ჭერქვეშ



მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (იააფ) მოსაწყენად სადა სცალია. მართალია ზამთარია, მაგრამ დარბაზებში ერთ შეჯიბრს მეორე მოსდევს და ჭერქვეშა რეკორდებიც მრავლად მყარდება.

განსაკუთრებით აქტიურობს ჩინელი მეჭოკე ქალი სუმ კაიუნი, რომელმაც ახალი წლის შემდეგ სამ კვირაში აგერ უკვე ხუთჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. საქმე ისაა, რომ წლევანდლიდან იააფ-მა ქალთა ჭოკით ხტომის რეკორდების აღნუსხვაც დაიწყო. მეუროეთა რეკორდი (66,84 მეტრი), რაღა თქმა უნდა, მავან რუს დედაკაცს ეკუთვნის. აი, სუმ კაიუნმა კი 405 სანტიმეტრიდან დაიწყო და ბუბკას მეთოდით, თითო-ოროლა სანტიმეტრის წამატებით ფულს რომ იხვეჭს, ჯერ 410-ზე გადახტა, მერე 411-ზე, მერე კიდევ 10 თებერვალს ბერლინში 412-ზე, 12 თებერვალს კარლსრუეში 413-ზე, ხოლო 15 თებერვალს ერფურტში — 415 სანტიმეტრზე. ჩინელი მხტომელი ალბათ არც ამაზე გაჩერდება და რაკილა სახეობის სიახლის გამო შედეგის ჭერი ჯერ შორსაა, კიდევ ბევრ რეკორდს დაამყარებს.

სეზონი წარჟმატებლად დაიწყო უკრაინელმა სერგეი ბუბკამ. თებერვლის პირველ უქმეებზე ნიუ-იორკის „მედისონ სქვერ გარდენში" ე.წ. მელროუზის თამაშები მოეწყო. იქ ბუბკას აჯობა რუსმა იგორ ტრანდენკოვმა, რომელიც ჭოკით 580 სანტიმეტრზე ახტა. ქალთა სიგრძეზე ხტომაში გერმანელმა ჰაიკე დრექსლერმა ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-კერსი დაამარცხა. გერმანელი 6,96 მეტრზე გადახტა.

მარჯვედ ასპარეზობს ევროპის სპრინტის დედოფალი, რუსი ირინა პრივალოვა (მარჯვენა ფოტოზე). 10 თებერვალს მადრიდში მან 60 მეტრის გარბენას 6,42 წამი მოანდომა, გზად კი 50 მეტრზე რბენის რეკორდი გააუმჯობესა. ახალი მიღწევა 5,96 წამია, ძველი კი შარშან დაემყარებინა იამაიკელ მერლინ ოთის. 19 თებერვალს პრივალოვამ ოთი ბილიკზეც დაამარცხა: საფრანგეთის ქალაქ ლებენში 60 მეტრზე რბენა მოუგო. იქვე რუსმა ქალმა 200 მეტრზე რბენის ევროპის რეკორდიც დაამყარა (22,10 წამი).

ლებენის შეჯიბრება ახალი ჭერქვეშა ტურის მეორე ეტაპი იყო. მისი დაწესების თაოსანია ვინმე იან სტიუარტი, რომელმაც შტუტგარტის, ლებენის, ბირმინგემისა და სტოკჰოლმის ტურნირებისათვის 150 ათასი დოლარი ჯამური საპრიზო ფონდი გამოყო. გამარჯვებულს 25 ათასი ერგება, იააფ-ი კი ტურს მხარს უჭერს, მაგრამ მის საქმეებში არ ერევა. აღსანიშნავია, რომ ზაფხულობით ამგვარი ტური უკვე არსებობს და „ოქროს ოთხეულადაა" ცნობილი.

ლებენშივე დამყარდა ორი ჭერქვეშა რეკორდიც. ინგლისელმა ლინფორდ ქრისთიმ 60 მეტრზე ევროპის ახალი რეკორდით დაამარცხა ნამიბიელი ფრანკი ფრედრიქსი, 200 მეტრზე კი რვა წლისწინანდელი მსოფლიო რეკორდი დაამხო — 20,25 წამია ახალი მიღწევა. მერე ქრისთიმ მედიას განუცხადა, რომ მარტში არ იასპარეზებს ჭერქვეშა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ბარსელონაში გაიმართება. მიზეზი ისაა, რომ ბრიტანელი საგანგებოდ ემზადება ნაღდი მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელსაც გეტებორგმა აგვისტოში უნდა უმასპინძლოს.

1997 წლის მსოფლიო პირველობის გამართვა იააფ-მა თავის დროზე დააკისრა მეხიკო-სითის, მაგრამ დეკემბერში ფედერაციის დელეგაცია თვით პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს მეთაურობით მექსიკას ეწვია და დარწმუნდა, რომ ასპარეზი — ქალაქის ოლიმპიური სტადიონი უპატრონობით გაპარტახებულა. გარდა ამისა, მეხიკო ზღვის დონიდან ერთობ მაღალზეც მდებარეობს და მეგაპოლისის კვალობაზეც ჰაერი ერთობ დაბინძურებული აქვს. მექსიკელებს იააფ-ისთვის სანაცვლოდ გადალახარა შეუთავაზებიათ, მაგრამ მსოფლიო მძლეოსნობის მამებს შორის დაუჭერიათ, მაგ ქალაქში ახალი სტადიონი გაქვთ ასაშენებელი და ვერ მოასწრებთო. 10 თებერვალს მადრიდმა განაცხადა, რომ მეხიკოს სიამოვნებით შეეხიდება და ჩემპიონატს თავისთან გამართავს. ესპანელთა ქომაგობა იმითაც აიხსნება, რომ ნაახალწლევს მექსიკური ვალუტა — პესო უამრავჯერ გაუფასურდა, რასაც მონათესავე ქვეყნების ადექვატური რეაქცია მოყვა. რაც შეეხება 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, მისი მასპინძლობის კანდიდატებად იააფ-ს სევილია (ესპანეთი) და სპლიტი (ხორვატია) შეუგულებია.

რეკორდებს დავუბრუნდეთ. 10 თებერვალს ქალაქ რინოში (ნევადა) ამერიკელმა მაიკ ჯონსონმა (ფოტოზე) ჭერქვეშ 400 მეტრი მძლეოსნობის ისტორიაში პირველმა გაირბინა 45 წამზე ნაკლებ დროში. მისი შედეგია 44,97. ძველი მიღწევა დანი ევერეტს დაემყარებინა სამი წლის წინ და 45,02-ს უდრიდა.

12 თებერვალს ბელგიის ქალაქ გენტში 3 000 მეტრი 7.35,13-ში გაირბინა კენიელმა მოზეს კიპტანუიმ, რაც აგრეთვე ჭერქვეშა მსოფლიო რეკორდია, 14 თებერვალს კი მოსკოვში 5 კილომეტრზე სიარულში რუსმა მიხეილ შჩენნიკოვმა 18.07,08 აჩვენა, რაც იმავე ყაიდის რეკორდი ყოფილა.

გრძელდება სადოპინგო საქმეების გარჩევაც. შარშანდელი ევროპის პირველობის წინ, ჰელსინკში რომ გაიმართა, ნორვეგიაში ნატურალიზებული ნიგერიელი სპრინტერი აჰემუ ოკეკე ანაბოლური სტეროიდების ხმარებაზე ჩავარდა, რის გამოც ჩემპიონატზე არ ასპარეზეს. იანვარში მეორე სინჯმაც დარღვევა დაადასტურა, რის შემდეგაც სპრინტერს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ოკეკემ ნორვეგიის სპორტის ფედერაციაში იჩივლა, მაგრამ ამან სასჯელი დაამტკიცა. სამაგიეროდ, იააფ-მა ბოლოსდაბოლოს გადასინჯა გადაწყვეტილება და შეიწყალა ბრიტანელი ბადროს მტყორცნელი პიტერ გორდონი, რომელსაც თავის დროზე ოთხი წელი იმისთვის დაუდგინეს, რომ დოპინგ-კონტროლზე უარი განაცხადა. არადა, გორდონს იმ დროს კიბო სჭირებია, მერე კი განკურნებულა.



## ჩოგბურთი

**წინა კვირა (13-19 თებერვალი) პროფესიონალთა ასოციაციების ტურებზე**

ქალები. პარიზის ჭერქვეშა პირველობა. ნახევარფინალი: შტეფი გრაფი (გერმანია) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 6:3, 6:2; მარი პირსი (საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:4. ფინალი: გრაფი — პირსი 6:2, 6:2. სამთვიანი ავადობის შემდეგ (ზურგი სტკიოდა) გრაფი სარბიელს დაუბრუნდა, პირველივე შეჯიბრება მოიგო და მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი სტრიქონიდან გააძევა თებერვლის დამდეგს მის ნაცვლად დაწინაურებული სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)

ოკლაჰომა-სითი (აშშ). ფინალი: ბრენდა შულცი (აშშ) — ელენა ლიხოვცევა (ყაზახეთი) 6:1, 6:2

ვაჟები. მილანის ჭერქვეშა პირველობა. ნახევარფინალი: ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი) დაამარცხა გორან ივანიშევიჩი (ხორვატია); ბორის ბეკერი (გერმანია) — პეტერ კორდა (ჩეხეთი) 7:6, 6:7, 6:2. ფინალი: კაფელნიკოვი — ბეკერი 7:5, 5:7, 7:6 (8-6). მანამდე კაფელნიკოვმა მეორე გერმანელი — მიხაელ შტიხიც დაამარცხა, ბეკერმა კი ტურნირი ზედიზედ მეხუთედ ველარ მოიგო

წმინდა იუდას ჭერქვეშა პირველობა. მემფისი (ტენესი, აშშ). ნახევარფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა სამ ხელში წააგო შარშანდელ ჩემპიონ ტოდ მარტინთან. ფინალი: მარტინი — პაულ პაარხუსი (ჰოლანდია) 7:6, 6:4



**„ფერფლის სერია" 1994-95**

I ტესტი. 25-29 ნოემბერი. ბრისბენი. „გაბა". ავსტრალია 426 და 248 (8) — ინგლისი 167 და 323. ავსტრალიამ მოიგო 184 გარბენით

II ტესტი. 24-29 დეკემბერი. მელბურნი. „კრიქით გრაუნდი". ავსტრალია 278 და 320 (7) — ინგლისი 212 და 92. ავსტრალიამ მოიგო 295 გარბენით

III ტესტი. 1-5 იანვარი. სიდნეი. „კრიქით გრაუნდი". ინგლისი 309 და 255 (2) — ავსტრალია 116 და 344 (7). ფრე

IV ტესტი. 26-30 იანვარი. ადელაიდა. „ოვალი". ინგლისი 353 და 328 — ავსტრალია 419 და 156. ინგლისმა მოიგო 106 გარბენით

V ტესტი. 3-7 თებერვალი. პერთი. „ვაკა". ავსტრალია 402 და 344 (8) — ინგლისი 295 და 123. ავსტრალიამ მოიგო 329 გარბენით

სერიის ანგარიში 3-1 ავსტრალიის სასარგებლოდ



# «ფერფლი» ავსტრალიაში დარჩა

მარცხიანად დასრულდა ინგლისის 16-კვირიანი ავსტრალიური ტურნე. სტუმრებმა ისევ წააგეს ე.წ. ფერფლის სერია, რომელსაც სახელი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეერქვა. მაშინ ინგლისმა ავსტრალიასთან ზედიზედ ორჯერ რომ წააგო, ერთმა გაზეთმა იხუმრა, ინგლისური კრიკეტი გარდაიცვალაო და კრემაციის ადგილი და დროც გამოაცხადა. მოკრიკეტეებს ისე მოეწონათ ხუმრობა, რომ ბჯენები დაწვეს, ფერფლი ყუთში ჩაყარეს და გარდამავალ ჯილდოდაც დაიწესეს.

ავსტრალია ჯერ კიდევ პაკისტანში სტუმრობდა, ინგლისი დასავლეთ ავსტრალიაში რომ ჩავიდა. ჩავიდა და წაგებაც დაიწყო ადგილობრივ გუნდებთან. გარდა ამისა, თითქოს ვანგემ შემოსწყრათო, ინგლისელები მთელს ტურნეზე თითების, კიდურებისა და ზურგის ტრავმებმა გატანჯეს, პირველი ტესტის წინ კი სტუმრებს ქუნთრუშამაც დარიათ ხელი.

ტესტებს შორის სტუმრები თითოდღიანი კრიკეტის „მსოფლიო სერიალშიც" მონაწილეობდნენ ზიმბაბვესა და მასპინძელთა ეროვნული და „ა" ნაკრებების მხარდამხარ. ეს შეჯიბრება თავის დროზე გარი პარკერის „მეცხრე არხმა" დააწესა და კრიკეტის პროფესიონალიზაციაც გამოიწვია. ინგლისმა ვერც ამ ტურნირში გამოიჩინა თავი, ზიმბაბვესთანაც წააგო და სამმატჩიანი ფინალური სერიის მიღმა დარჩა. საბოლოოდ გაიმარჯვა ავსტრალიამ, რომელიც თავისსავე დუბლს რის-ვაინაჩრობით მოერია.

პირველი ორი ტესტი სტუმრებმა სამარცხვინოდ წააგეს, მაგრამ ნაახალწლევს ბოლოსდაბოლოს გამოიღეს ხელი და ფრეს მიაღწიეს. ტურნეს ბოლოში მასპინძლებმა, ეტყობა, გული დაიმშვიდეს. ადელაიდაში ბოლო დღეს სასწაული მოხდა. ინგლისს მეორე შესვლა რომ დაუმთავრდა, 262 გარბენით დაწინაურებულიყო, მაგრამ ფრე იყო მოსალოდნელი, რაკილა ავსტრალიის ათი ტაფელოსნის გასაგდებად ინგლისს დროცა და წყებებიც ცოტა რჩებოდა. აქ მოხდა წარმოუდგენელი რამ: ინგლისმა საწადელს ისე მიაღწია, რომ ხუთი წყება (ანუ 30 მოწოდება) ზედმეტი დარჩა.

სტუმრებმა დიდხანს ველარ გაიხარეს. „ფერფლი" მესამე ტესტის შემდეგ წაგებული ჰქონდათ, მაგრამ პერთში მოგებით სერიის გაყაიმება შეეძლოთ. ინგლისელთა გეგმებს ასრულება არ ეწერა. თამაში ბოლო დღეს, ზედ სადილის წინ მორჩა. ინგლისი დაღუპა ფილდერების უგერგილობამ, რომლებსაც ცხრაჯერ შეეძლოთ ავსტრალიელთა მიერ მოგერიებული ბურთების ჰაერში დაჭერა და მასპინძელთა ტაფელოსნების გაგდება, მაგრამ ვერ ივარგეს. ავსტრალიელთა მომწოდებელი კრეიგ მაკდერმოტი წლისა და სერიის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს და ორი ავტომანქანით დააჯილდოვეს. მან სერიაში 32 ბჭე მოინადირა. მისი თანაგუნდელის — შეინ ვორნის მონაგარი 27 ბჭეა.

ასე და ამგვარად, ინგლისმა ავსტრალიასთან ნათამაშევი ბოლო 22 ტესტიდან 14 წააგო და ორიც ფრედ დაასრულა, „ფერფლი" კი ბოლოს 1986 წელს მოიგო. ამ ტურნეზე სხვადასხვა დარღვევის გამო (გინება, მსაჯთან კამათი, ბურთის ნელი მოწოდება და მისთანები) სტუმრები ჯამში 4 500 გირვანქით დააჯარიმეს.

ყაფლან ჯანდიერი

## აქეთური, იქითური

რალისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე სტადია — შვედეთის რალი მასპინძლის — „მიცუბისით" მოასპარეზე კენეტ ერიქსონის გამარჯვებით დასრულდა. ისა და მისი თანაგუნდელი, ფინელი მაკინენი სამხრეთ შვედეთის გზებზე ბოლომდე ერთად ლიდერობდნენ, მაგრამ ფინიშამდე 600 მეტრი რომ რჩებოდა, გუნდის უფროსობის მითითებით ფინელმა შვედს გზა უტია. საქმე ისაა, რომ წინდაწინ დათქმულ დროს — რალის მეორე დღეს ერიქსონი ლიდერობდა. ამავე რალში „სუბარუს" სამივე ეკიპაჟი შუა გზაზე გამოაკლდა შეჯიბრს. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა „მიცუბისი". მეორე ადგილზე მიდის „ფორდი", მესამეზე — „ტოიოტა", მეოთხეზე კი — „სუბარუ".

*

დელიში კაცთა ბალახის ჰოკეის „ინდირა განდის ოქროს თასი" მოიგო აზიის ჩემპიონმა სამხრეთმა კორეამ, რომელმაც ფინალში ინდოეთი 8:1 დაამარცხა. მესამე ადგილის თამაშში ავსტრალიამ იმავე ანგარიშით სძლია ყაზახეთს.

*

მაიკ ტაისონი ვადამდე, დაგეგმილზე ექვსი კვირით ადრე, ამა წლის 25 მარტს გამოვა ციხიდან. მოკრივეს დამატებითი სასჯელი მოუხსნეს, არც შინაურ პატიმრობას უსჯიან და არც ელექტრომოწყობილობას დაჰკიდებენ, მისი ყოველი ნაბიჯი რომ აღნუსხოს.

*

დოპინგის მასობრივ ხმარებაში მხილებულ ჩინელ მოცურავეთა ნაკრები ორგანიზატორებმა აღარ მიიწვიეს წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების პირველობაზე, რომელიც ჯორჯიის შტატში, ქალაქ ატლანტაში უნდა გაიმართოს.

*

ამერიკაში პროფესიული კეტბურთის სეზონი 2 აპრილს კი იწყება, მაგრამ ქვეყნის სენატმა იუარა კლუბების მფლობელთა და მოთამაშეთა დავაში ჩარევა, აქაოდა საამისოდ მზად ჯერ არა ვართო.

*

ველისში, აშშ-ის მიჩიგანის შტატში, ქალაქ ბათლ-ქრიქში თურმე უნდა გაიმართოს საჰაერო ბურთებით ფრენის მსოფლიო პირველობა. მავანნი ევერესტის დალაშქვრას ერთბაშად ორი მხრივ, მათ შორის საჰაერო ბურთითაც ფიქრობენ.

*

ფიგურულად მოციგურავე უკრაინელ ქალს, ლილეჰამერის ოლიმპიადის ჩემპიონ ოქსანა ბაიულს სამოყვარულო სპორტში დაბრუნება სდომებია, მაგრამ საამისოდ ჯერ თურმე ციგურაობის საერთაშორისო კავშირს უნდა განუმარტოს, სხვადასხვა არასანქციონირებულ შოუში რაღად მონაწილეობდა.

*

ბრიტანელმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ ფრენკ ბრუნომ ამ შაბათს ერთ წუთში დაანოკაუტა პუერტო-რიკოელი რუდოლფო მარინი და შემდეგს კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით ჩემპიონის — ოლივერ მაკოლისა და მოცილე ლარი ჰოლმსის მომავალ შერკინებაში დამარცხებულს უნდა შეებას.

*

პაკისტანელ მოკრიკეტეებს კორუფცია თანამემამულე საფრაზ ნავაზმაც დააბრალა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ქალის, ბენაზირ ბჰუტოს ამ ექს-მოკრიკეტე მრჩეველმა ბრიტანულ გაზეთ „ობზერვერს" განუცხადა, 1992 წელს ინგლისის პაკისტანთან მოგება ჩაწყობილი იყოო. ისიც ცნობილი გამხდარა, რომ პაკისტანის კაპიტან სალიმ მალიქს თანაგუნდელები ყურანზე დაუფიცებია, იატაკქვეშა ტოტალიზატორში არ ჩაებათო.

*

იტალიელ სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბას ამ სეზონში ზედიზედ ათი გამარჯვების შემდეგ ხელი მოეცარა მსოფლიო თასის ეტაპზე, რომელიც იაპონიაში, ფურანოში გაიმართა: „ლა ბომბად" ცნობილმა სპორტსმენმა პირველსავე ცდაზე ფინიშამდე ვერ მიაღწია.

*

25 წლის იოჰანესბურგელმა მეგოლფე ერნი ელსმა, ვინაც შარშან აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, წინა კვირაში შინაც გაიმარჯვა — პროფესიონალთა სამხრეთ აფრიკის ასოციაციის ჩემპიონი გახდა.

აქეთური, იქითური


სარბიელი

სპორტული გაზეთი

ინდექსი 66441

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29; წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია აბალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიბინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
ტექნიკური დირექტორი კოტე იაშვილი